



**შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის
სასწავლო უნივერსიტეტი
სამართლის ფაკულტეტი
კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამა**

თემა: სამოქალაქო საქმეებზე გადანაცვეტილების სააპელაციო წესით
გასაჩივრებისა და საქმის წარმოების თავისებურებანი

**ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად**

სტუდენტი: გიორგი ლაშხია

ნაშრომის ხელმძღვანელი:

ასოცირებული პროფესორი შალვა ქურდაძე

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი

თავი 1. აპელაციის არსი და მნიშვნელობა

1.1. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სასამართლო სისტემები

1.2. სააპელაციო სასამართლოს ქართული მოდელი

1.3. სააპელაციო სამართალწარმოების გერმანული მოდელი

თავი 2. სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

2.1. სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის წინაპირობები

2.2. შეგებებული სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

დასკვნა

გამოყენებული ლიტერატურა

შესავალი

თემის აქტულობა. ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა. საქმის განხილვას სასამართლო შეუდგება იმ პირის განცხადებით, რომელიც მიმართავს მას თავისი უფლებების ან კანონით გათვალისწინებული ინტერესების დასაცავად. სასამართლო წესით ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვა გარანტირებულია საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებითა და ნორმებით. სასამართლო დაცვის უფლება არის ყველა დანარჩენი უფლება თავისუფლების განხორციელების აუცილებელი გარანტია, რომელთა დაცვა სახელმწიფოს ვალდებულებაა. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის, აგრეთვე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლის, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის მიხედვით, მართლმსაჯულება უნდა პასუხობდეს სამართლიანობის მოთხოვნებს და უზრუნველყოფდეს უფლებების ეფექტიან აღდგენას. სასამართლოს დაცვა უნდა იყოს სრული, რაც გულისხმობს ნებისმიერი პირის არა მხოლოდ შესაძლებლობას, მიმართოს სასამართლოს, არამედ ასევე, სასამართლოს ვალდებულებას, მიიღოს სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილება. უფლების სასამართლო წესით დაცვა ასევე, უზრუნველყოფილია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილით, რომლის თანახმადაც, საქმის განხილვას სასამართლო შეუდგება იმ პირის განცხადებით, რომელიც მიმართავს მას თავისი უფლების ან კანონით გათვალისწინებული ინტერესების დასაცავად. ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიღებამდე, საქმეთა განხილვა დაკავშირებული იყო რთულ პროცედურებთან, რაც საბოლოოდ აჭიანურებდა საქმეზე

გადაწყვეტილების მიღებას და შესაბამისად, მის აღსრულებას. მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი უფრო თანაფარ-დობაშია არსებულ სამართლის რეალიებთან, რაც გულისხმობს, რომ ეფექტიანად უზრუნველყოფს საქმეთა დროულად განხილვას, საბოლოოდ კი, ეკონომიის პრინციპისა და მხარეთა უფლებების დაცვას ემსახურება.

ნებისმიერ შემთხვევაში, ახალი საპროცესო კანონმდებლობის შექმნა ძირითადად, ორ მიზანს უნდა ემსახუროდეს: პირველი ის, თუ როგორ უნდა გავხადოთ სასამართლო დამოუკიდებელი სამოქალაქო პროცესის ფარგლებში, რათა სამართალწარმოება ხორციელდებოდეს შეჯიბრები-თობისა და დისპოზიციურობის საწყისებზე და მეორე, როგორ გავამარტივოთ სამოქალაქო სამართლებრივი დავების განხილვის პროცედურა სამართლის სუბიექტების უფლებების ეფექტიანად დაცვის მიზნით. არსებული სასამართლო პრაქტიკის და იმ ქვეყნების გამოცდილების შესწავლის საფუძველზე, სადაც მოქმედებს სააპელაციო სასამართლოები, საქართველოში შემოღებული იქნა არასრული (შეზღუდული) აპელაციის მოდელი. არასრული აპელაციის დროს, განსხვავებით სრული (შეუზღუ-დავი) აპელაციისა, სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემონშება ხდება იმ ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით და იმ მტკიცებულებებით, რომლებიც წარმოდგენილი იყო და შეამონშა პირველი ინსტანციის სასამართლომ. რაც შეეხება ახალ ფაქტებსა და მტკიცებულებებს, მათი წარდგენა სააპელაციო სასამართლოში დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

კვლევის მიზანი.

კვლევის მიზანია სამოქალაქო საქმეებზე სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა და მათი თავისებურებანი. შედარებითი სამართლებრივი ანალიზი. აუცილებლად მივიჩნევთ, ხაზი გავუსვათ იმას, რომ ჩვენ არ ვიხილავთ ყველა იმ მექანიზმს, რომელიც დამახასიათებელია სააპელაციო სასამართლოს ქართული მოდელებისათვის. ავღნიშნავთ მხოლოდ მას, რომ სამოქალაქო

საპროცესო კოდექსში შესულმა ცვლილებებმა, მნიშვნელოვნად გაზარდა სააპელაციო სასამართლოს როლი და მნიშვნელობა, რაც გამოიხატა იმაში, რომ სააპელაციო სასამართლო იქცა საბოლოო ინსტანციის სასამართლოდ და გარკვეულწილად, სასამართლო პრაქტიკის განმსაზღვრელ სასამართლოდაც.

თემაზე მუშაობისას გამოყენებული გვაქვს ქართველი და უცხოელი მეცნიერ - იურისტების მიერ დამუშავებული ნაშრომები სააპელაციო სმართალწარმოების აქტუალურ პრობლემებთან დაკავშირებით, ასევე პერიოდულ გამოცემებში და ინტერნტე სივრცეში გამოქვეყნებული მეცნიერ-იურისტთა კვლევები.

თავი 1. აპელაციის არსი და მნიშვნელობა.

1.1. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სასამართლო სისტემები

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სასამართლო სისტემები ზოგადად, სიმრავლითა და ამასთან, მრავალრგოლიანობით ხასიათდება. სასამართლო სისტემათა სიმრავლე იმ მხრივ არის გამოხატული, რომ თითქმის ქვეყნების უმრავლესობაში, როგორც წესი, მოქმედებს საერთო იურისდიქციისა და სპეციალური იურისდიქციის სასამართლოები. საერთო იურისდიქციის სასამართლოები აღჭურვილია ფართო კომპეტენციებითა და მათ შეუძლიათ ყველა იმ საქმის განხილვა, რაც კანონის სპეციალური მითითებით არ განეკუთვნება სხვა ორგანოების კომპეტენციას. სპეციალური სასამართლოების მიერ მართლმსაჯულების განხორციელების კომპეტენცია კი, განსაზღვრულია ნორმატიული აქტებით, პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში. რაც შეეხება სასამართლო სისტემის მრავალრგოლიანობას, ის გვხვდება როგორც საერთო იურისდიქციის, ისე სპეციალური სასამართლოების სისტემებში და გულისხმობს სისტემის შიგნით რამდენიმე სასამართლო ინსტანციის არსებობას. მრავალრგოლიანობა მიუთითებს პირველი, საშუალო და უმაღლესი ორგანოების არსებობაზე. პირველი ინსტანციის სასამართლოები უფლებამოსილნი არიან, მიიღონ და

განიხილონ სარჩელები არსებითად. ასეთი ფუნქციებით სხვადასხვა ქვეყანაში, აღჭურვილია სასამართლო სისტემის ორი, ზოგჯერ სამი რგოლიც კი. ამ სასამართლოებიდან ყველაზე დაბალი რგოლი ხშირად მოიხსენიება, როგორც შებლუდული იურისდიქციის სასამართლოები, რამდენადაც მათი კომპეტენცია განისაზღვრება სარჩელის ღირებულებითა და საქმეთა განსაზღვრული კატეგორიებით¹. ისინი განიხილავენ მარტივ საქმეებს და როგორც წესი, საქმეს მოსამართლე ერთპიროვნულად განიხილავს. პირველი ინსტანციის უფრო მაღალი დონის რგოლში შემავალი სასამართლოები იხილავენ ყველა დავას, რომელიც არ განეკუთვნება ქვედა რგოლის სასამართლო ორგანოების განხილვის სფეროს. ამის გამო, ისინი მოიხსენიებიან როგორც შეუზღუდავი იურისდიქციის სასამართლოები. მათ კომპეტენციაშია რთული საქმეებისა და მნიშვნელოვანი ღირებულების სარჩელების განხილვა, კოლეგიების მეშვეობით, სამი მოსამართლის შემადგენლობით, თუმცა, არ არის გამორიცხული საქმის ერთი მოსამართლის მიერ ერთპიროვნულად წარმოება. რიგ ქვეყნებში მოქმედებს მომრიგებელი სასამართლოები, რომლებიც ადგილობრივ სასამართლოებს წარმოადგენენ და თავიანთი რანგით პირველი ინსტანციის შებლუდული იურისდიქციის სასამართლოების ქვემოთ იმყოფებიან. ისინი სისხლის ან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა წვრილმან საქმეებს განიხილავენ და რაც ჩვენთვის საყურადღებოა, უმნიშვნელო ხასიათის კერძოსამართლებრივ დავებს. მეორე ინსტანციის სასამართლოები, რომლებიც სასამართლო სისტემაში საშუალო რგოლის სასამართლოებად გვევლინებიან, დაკავებულნი არიან პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილებებისა და სხვა აქტების კანონიერებისა და დასაბუთებულობის

¹ ი. მერებაშვილი, სასამართლო სტრუქტურების ორგანიზაცია და მართმსაჯულების ეფექტიანი განხორციელება სამოქალაქო ხასიათის საქმეებზე / უერ. „მართმსაჯულება და კანონი“ N 1 (24) თბ. 2010, გვ.93

შემონშებით. როგორც წესი, ეს სასამართლოები სააპელაციო სასამართლოებს წარმოადგენენ. უმაღლესი სასამართლო ინსტანცია, რომელიც მოქმედებს მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე, თითქმის ყველგან გვხვდება უზენაესი სასამართლოს სახით, ხოლო ფედერაციულ სახელმწიფოებში – უმაღლესი ფედერალური სასამართლოს სახით. ამ სასამართლო ორგანოს ახასიათებს ორი ყველაზე გამოკვეთილი ფუნქციის შესრულების უზრუნველყოფა. ის ახორციელებს სასამართლო აქტების კანონიერების საბოლოო შემოწმებას და ამასთან, უზრუნველყოფს მთელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე სამართლის ნორმების გამოყენებისა და განმარტების ერთგვაროვნებას.

ზოგიერთ ქვეყანაში, ვინაიდან სახეზეა რამდენიმე სრულყოფილი სასამართლო სისტემა, მოქმედებს რამდენიმე უმაღლესი სასამართლო ორგანო. ასე მაგალითად, გერმანიაში მოქმედებს რამდენიმე ფედერალური სასამართლო, რომლებიც ახორციელებენ კანონით დაკისრებულ ფუნქციებს. ასეთებია: საერთო იურისდიქციის ფედერალური უზენაესი სასამართლო, ფედერალური ადმინისტრაციული სასამართლო, ფედერალური საფინანსო სასამართლო, შრომითი დავების განმხილველი ფედერალური სასამართლო, სოციალურ საკითხთა ფედერალური სასამართლო. რუსეთის ფედერაციაში ასევე, მოქმედებს ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი უზენაესი სასამართლო და უმაღლესი საარბიტრაჟო სასამართლო. თუმცა, თუ შევადარებთ გერმანიის და მსგავსი ტიპის სასამართლო სისტემის ქვეყნებში მოქმედი სასამართლო სისტემების საქმიანობისა და საქმისწარმოების პრინციპებს რუსეთის ფედერაციასა და მსგავსი სასამართლო სისტემების ქვეყნებში მოქმედი სასამართლო სისტემების საქმიანობას, ადვილი მისახვედრია, რომ პირველ შემთხვევაში, საუბარია ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ სასამართლო დანესებულებებზე, რომლებიც მართლმსა-

ჯულებას ახორციელებენ პრინციპულად განსხვავებულ სამართალურთიერთობებთან მიმართებაში და განსხვავებულ ნორმატიულ აქტებს იყენებენ².

შესაბამისად, გამორიცხულია ალბათობა, რომ ერთი და იგივე სამართლებრივი ნორმის განმარტება არსებობდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციის სახით. რაც შეეხება მეორე ვარიანტს, რამდენადაც ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა, არცთუ იშვიათად, იყენებს სამოქალაქო სამართლის ერთსა და იმავე დებულებებს, რასაკვირველია, ეს არ გამორიცხავს ამ დებულებების პრაქტიკაში გამოყენებისა და განმარტების ურთიერთ-საინანაღმდეგო ხასიათს.

სასამართლო სისტემების სიმრავლე და იმავდროულად, მათი მრავალრგოლიანობა, უწყებრივი ქვემდებარეობის და განსჯადობის საპროცესო ინსტიტუტებისათვის რთულ პრობლემებს ქმნის. თუმცა, სასამართლოს არასწორად შერჩევა თავისთავად არ გულისხმობს სარჩელზე უფლების დაკარგვას. როგორც წესი, საპროცესო კანონმდებლობების უმრავლესობა ითვალისწინებს საქმეთა ერთი სასამართლოდან მეორეში გადაცემას, რაც უზრუნველყოფს დავის განხილვის შესაძლებლობას.

საზღვარგარეთის რიგ განვითარებულ ქვეყნებში მოქმედი, სამოქალაქო ხასიათის საქმეთა განმხილველი სასამართლო სისტემების უმრავლესობა, როგორც ზემოთ აღინიშნა, წარმოდგენილია საერთო და მის პარალელურად მოქმედი სპეციალური სასამართლოების სისტემის სახით, თითოეული სისტემა კი, მრავალრგოლიანობით. საზღვარგარეთის რიგი ქვეყნების მსგავსად კი, განსხვავებული პრინციპითაა დადგენილი სამოქალაქო საქმეთა განხილვა საქართველოში, რამდენადაც ეს

² ი. მერებაშვილი, სასამართლო სტრუქტურების ორგანიზაცია და მართმსაჯულების ეფექტიანი განხორციელება სამოქალაქო ხასიათის საქმეებზე / ავტ. „მართმსაჯულება და კანონი“ N 1 (24) თბ. 2010, გვ.94

უფლებამოსილება მხოლოდ საერთო იურისდიქციის სასამართლოებს აქვთ გადაცემული.

სასამართლო ინსტანციების ორგანიზებისა და მათთვის ფუნქციების მინიჭებისას, რასაკვირველია, მნიშვნელოვანია, სასამართლო რგოლების საქმიანობის ისე მოწყობა, რომ სასამართლო პროცედურები ტარდებოდეს საპროცესო ურთიერთობის მონაწილეთათვის მაქსიმალურად მოხერხებულად და მისაღებად. პროცესში ჩართული პირებისათვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს პროცესუალური უფლებებისა და გარანტიების დაცვა.

თითქმის ყველა ქვეყანაში, საშუალო რგოლის სასამართლოები წარმოდგენილია სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებით, რომლებიც ახორციელებენ პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებისა და დასაბუთებულობის შემოწმებას, საქმეთა ხელახალი, არსებითი განხილვის საფუძველზე. რაც შეეხება უზენაეს სასამართლოებს, ეს რგოლი ყველა ქვეყანაში მოქმედებს, როგორც მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე უმაღლესი სასამართლო ორგანო და ახორციელებს სასამართლო აქტების კანონიერების საბოლოო შემოწმებას. ამასთან, უზრუნველყოფს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე სამართლის ნორმების ერთგვაროვან განმარტებებსა და გამოყენებას. ზოგიერთ ქვეყანაში მოქმედებს რამდენიმე უმაღლესი სასამართლო ორგანო.

განვითარებული ქვეყნების საპროცესო კანონმდებლობების ანალიზიდან ირკვევა, რომ საფრანგეთში, გერმანიაში, ავსტრიაში, შვეიცარიაში, ინგლისში, აშშ-ში, რუსეთში კერძო სამართლებრივი დავები იხილება როგორც საერთო, ისე სპეციალური იურისდიქციის სასამართლოების მიერ. საბერძნეთში, ესპანეთში, იტალიაში, საქართველოში სამოქალაქო ხასიათის საქმეთა განხილვა შედის მხოლოდ საერთო სასამართლოების იურისდიქციაში. მიუხედავად იმისა, საქმეებს სპეცი-ალური იურისდიქციის

სასამართლოები განიხილვენ თუ საერთო სასამართლოები, ისინი გადიან იმ ინსტანციებში განხილვას, რომლებიც შექმნილია ამ სასამართლოების სისტემაში.

სასამართლო ინსტანციების საქმიანობის კომპეტენციები, ყველა ქვეყანაში დადგენილია შესაბამისი ქვეყნის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებებით. გარდა ინსტანციათა კომპეტენციებისა, მეტად საყურადღებო და მნიშვნელოვანია კონკრეტულ საქმეთა განსახილველად დაშვების საფუძვლები, როგორც პირველი, ისე მეორე და მესამე ინსტანციების სასამართლოებში.

საყურადღებოა სააპელაციო და უმაღლესი ინსტანციის სასამართლოებში სამოქალაქო საქმეთა განსახილველად დასაშვებობის საფუძვლები, რამდენადაც თუ მხარე ვერ იღებს მისთვის სასურველ შედეგს პირველი ინსტანციის სასამართლოში, ცდილობს ეს ხარვეზი შეავსოს ზედა ინსტანციის სასამართლოებში გადაწყვეტილების გასაჩივრების გზით.

სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს როგორც საქმეში არსებული ფაქტების, ისე გამოყენებული სამართლის საკითხებზე. საქმის სააპელაციო წესით განხილვა გულისხმობს სააპელაციო სასამართლოს უფლებამოსილებას, საქმე ხელახლა და არსებითად გადასინჯოს. ძირითადად, ეს გარემოება განასხვავებს სააპელაციო სასამართლოს საკასაციო სასამართლოსაგან, რომელიც კლასიკური ფორმულის მიხედვით, ამოწმებს სასამართლო გადაწყვეტილებებს და არა სასამართლო პროცესებს. სააპელაციო სასამართლომ ფაქტები ისე უნდა მიიღოს, როგორც ეს ქვედა ინსტანციის მოსამართლეებმა დამოუკიდებლად დაადგინეს, საქმის არსებითად განხილვის შედეგად და აისახა შესაბამის გადაწყვეტილებაში. სააპელაციო სასამართლო ამოწმებს, სწორად გამოიყენა თუ არა, სასამართლომ სამართლებრივი ნორმა.

გერმანიის სამოქალაქო

საპროცესო კოდექსის 511-ე პარაგრაფის შესაბამისად³, სააპელაციო წესით გასაჩივრებას ექვემდებარება პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი საბოლოო გადაწყვეტი-ლებები. ამასთან, კოდექსი იქვე უთითებს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საფუძვლებს.

სააპელაციო

საჩივარი

განსახილველად დაიშვება, თუ მისი ღირებულება აღემატება 600 ევროს ან თავად პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით ნებადართულია მისი სააპელაციო წესით გასაჩივრება. ასეთი ნებართვა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გაიცემა, თუ დავას აქვს პრინციპული მნიშვნელობა, ანდა, თუ სააპელაციო სასამართლოს დადგენილება აუცილებელია სამართლის სრულყოფისათვის ან მართლმსა-ჯულების ერთგვაროვნების უზრუნველყოფისათვის. პირველი ინსტანციის სასამართლომ აპელაციაზე ნებართვა, შესაძლოა, გასცეს მაშინაც, როდესაც მხარის დავალდებულება სასამართლო გადა-წყვეტილების მიხედვით, არ აღემატება 600 ევროს. აპელაციაზე ასეთი ნებართვა სააპელაციო სასამართლოსათვის სავალდებულო ხასიათს ატარებს⁴.

რუსეთის

ფედერაციაში

აპელაციას მხოლოდ მომრიგებელ მოსამართლეთა მიერ განხილულ საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებები ექვემდებარება. ძირითადად, ეს საქმეები ეხება საოჯახოსამართლებრივ, შრომითი ურთიერთობებიდან გამომდინარე დავებს, ასევე, ქონებრივ დავებს, რომელთა ღირებულება არ აღემატება ფედერალური კანონით დადგენილი შრომის მინიმალური

³ გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი
http://robizoni.ge/media/k2/attachments/germaniis_procesi.pdf

⁴ ი. მერებაშვილი, სასამართლო სტრუქტურების ორგანიზაცია და მართლმსაჯულების ეფექტიანი განხორციელება სამოქალაქო ხასიათის საქმეებზე / ავტ. „მართლმსაჯულება და კანონი“ N 1 (24) თბ. 2010, გვ.95

ანაზღაურების ხუთასმაგ ოდენობას⁵. საფრანგეთში მოქმედი სააპელაციო სასამართლოები იხილავენ სააპელაციო საჩივრებს საოლქო სასამართლოების, დიდი ინსტანციის ტრიბუნალების, ასევე, სპეციალური იურისდიქციის სასამართლოების მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებზე.⁶

სააპელაციო სასამართლო ფრანგულ საპროცესო სამართალში, მითუმეტეს ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიღების შემდეგ, პროცესის განვითარების კარგი საშუალება გახდა. აღნიშნული კოდექსის 568-ე მუხლის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს, თუ ის მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროდ ჩათვლის, შეუძლია განიხილოს საკითხები, რომლებიც განხილვის საგანი სასამართლოში ჯერ არ ყოფილა, ამასთან, შეუძლია, ჩაატაროს დამატებითი საპროცესო მოქმედებები. საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად, აპელაციას ექვემდებარება ყველა საქმე, რომელზეც პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება არასწორია, ასევე, კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში⁷. საფრანგეთში, სააპელაციო გასაჩივრების ძირითადი საფუძველია, რომ პირველ ინსტანციაში, საქმის განმხილველმა მოსამართლემ დაუშვა შეცდომა. ნებისმიერი საქმე, თუკი მხარეებს აქვთ ამისი სურვილი, ექვემდებარება აპელაციას⁸.

ავსტრიაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად, საქმეთა სააპელაციო წესით გასაჩივრება ხდება კანონით გათვლილ შემთხვევებში, ასევე, როდესაც მოსამართლე, გამოტანილი გადაწყვეტილებით,

⁵ იქვე

⁶ იქვე

⁷ გვ.56

⁸ იქვე

შესაძლებლად უშვებს აპელაციას ამ საქმეზე⁹.

რაც შეეხება საქართველოში სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში საქმეთა დასაშვებობის საფუძვლებს, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 364-ე მუხლის შესაბამისად, სააპელაციო საჩივარი შეიტანება სასამართლოს მიერ პირველი ინსტანციით გამოტანილ გადაწყვეტი-ლებებზე.

ხოლო 365-ე მუხლის მიხედვით, ქონებრივსამართლებრივ დავებში დასაშვებია, თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 1000 ლარს. 366-ე მუხლის შესაბამისად კი, დასაშვებია განმეორებით დაუსწრებლობის გამო გამოტანილ დაუსწრებელ გადაწყვეტილებებზე.

გარდა გვარეობითად განსაზღვრული და დავის ღირებულებაზე დამოკიდებული საფუძვლებისა, რა თქმა უნდა, ყველა ქვეყნის საპროცესო კანონმდებლობები სააპელაციო საჩივარს (ასევე, საკასაციო საჩივარს) დასაშვებად მიიჩნევენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ის შეტანილია ამისათვის უფლებამოსილი პირის მიერ და ეხება ამ საქმეში მონაწილე მხარეებს ან მესამე პირების ინტერესებს. სააპელაციო საჩივარი დასაშვები ხდება იმ პირობითაც, რომ იგი განსახილველად წარდგენილია უფლებამოსილ სასამართლოში. სააპელაციო ინსტანციის სასამართლო საქმის განხილვის დროს შებოჭილია სააპელაციო საჩივრის ფარგლებით და კანონი არ ითვალისწინებს არცერთ გამონაკლის შემთხვევას, რომელიც შესაძლებლობას მისცემს სასამართლოს, გასცდეს საჩივარში აღნიშნულ ფარგლებს¹⁰. დისპოზიციურობის პრინციპის ეს გამოვლინება მოქმედებს

⁹ი. მერებაშვილი, სასამართლო სტრუქტურების ორგანიზაცია და მართმსაჯულების ეფექტიანი განხორციელება სამოქალაქო ხასიათის საქმეებზე / უერ. „მართლმსაჯულება და კანონი“ N 1 (24) თბ. 2010, გვ.57

¹⁰ შ. ქურდაძე, სამოქალაქო საქმეთა განხილვა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებში, თბ., 2006, გვგ. 7.

თითქმის ყველა ქვეყანაში და ყველა სასამართლო ინსტანციაში.

აპელაციის ინსტიტუტი აძლიერებს პირველი ინსტანციის სასამართლოების პასუხისმგებლობას, რადგან მათი გადანყვეტილებები სააპელაციო სასამართლოს მიერ შემოწმებას ექვემდებარება როგორც ფაქტობრივად, ისე იურიდიული თვალსაზრისით.

1.2. სააპელაციო სასამართლოს ქართული მოდელი

სააპელაციო სასამართლოს სასარგებლოდ და მის დადებით მხარეებზე

გამოთქმულია მრავალი მოსაზრება, რომელთა შორის ყველაზე არსებითია შემდეგი:

1. სააპელაციო სასამართლოების არსებობით ძლიერდება პირველი ინსტანციის სასამართლოების პასუხისმგებლობა, რადგან მათი გადაწყვეტილებები შეიძლება შეამოწმოს სააპელაციო სასამართლომ როგორც ფაქტობრივად, ისე იურიდიული თვალსაზრისით;

2. აპელაცია გაცილებით უფრო მიუკერძოებელია ვიდრე პირველი ინსტანცია, რადგან იგი ნაკლებად განიცდის ადგილობრივი ხელისუფლების ზეგავლენას;

3. სააპელაციო სასამართლო დაკომპლექტებულია უფრო მაღალკვალიფიციური მოსამართლეებით, რომლებიც იხილავენ საქმეს არანაკლებ სამი პროფესიული მოსამართლის შემადგენლობით;

4. სააპელაციო სასამართლოს არსებობა ქმნის რწმენას, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დაშვებული შეცდომა ნამდვილად გამოსწორებული იქნება და მიღებული იქნება სამართლიანი გადაწყვეტილება. მართლაც, რაც არ უნდა კარგად იყვნენ მომზადებული პირველი ინსტანციის სასამართლოების მოსამართლეები, რა კეთილსინდისიერებითა და ყურადღებით არ უნდა მოეკიდონ ისინი თავიანთი მოვალეობის შესრულებას, მაინც არ არსებობს იმის სრული გარანტია, რომ თავიდან იქნება აცილებული შეცდომები, როგორც საქმის ფაქტიური გარემოებების დადგენის თვალსაზრისით, ისე ამ ფაქტების სამართლებრივი შეფასების დროსაც. ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ ითვალისწინებს რაიონული სასამართლოების გადაწყვეტილებათა სააპელაციო წესით გასაჩივრების შესაძლებლობას. აპელაცია,

როგორც სასამართლო სისტემის ერთ-ერთი უმნიშვნელო-ვანესი

რგოლითიოქმის ყველა ქვეყანაში არსებობს, მათ ბევრი აქვთ საერთო მაგრამ მათ შორის არსებობს აგრეთვე მნიშვნელოვანი განსხვავებაც. ამ განსხვავებებმა განაპირობეს აპელაციის ორ ჯგუფად, ორ სახედ დაყოფის მიზანშეწონილობა როგორცაა სრული (შეუზღუდავი) აპელაცია და არასრული (შეზღუდული) აპელაცია¹¹, რომლის მიხედვით შეიძლება შემონმდეს არამართო საქმეში არსებული მასალები, ფაქტები, მტკიცებულებები, არამართო გადაწყვეტილების კანონიერება და საქმის წარმოების შესაბამისობა იმ სამართლებრივ ნორმებთან, რომლებიც განსაზღვრავენ სამართალწარმოების წესებს, არამედ მხარეთა მიერ ახლად წარმოდგენილ ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც საერთოდ არ იყო წარმოდგენილი პირველ ინსტანციაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ სრული აპელაციის დროს სააპელაციო სასამართლო ხელმეორედ იხილავს საქმეს და, როგორც წესი, არასდროს არ აბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად პირველი ინსტანციის სასამართლოში. მას თვითონ გამოაქვს ახალი გადაწყვეტილება, თუ, ცხადია, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ფაქტობრივად ან იურიდიულად დაუსაბუთებელია და გასაუქმებელია¹².

სხვა შინაარსისაა მეორე სახის აპელაცია, რომელსაც არასრულ (შეზღუდულ) აპელაციას უწოდებენ.

არასრულიაპელაციის დროს სააპელაციო საჩივრის დასაბუთებულობის შემონმება ხდება იმ ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით და იმ მტკიცებულებებით, რომლებიც წარდგენილი იყო პირველი ინსტანციის სასამართლოში და რომლებიც შემონმდა და შეფასდა ამ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ. რაც შეეხება ახალ ფაქტებს

¹¹გ. ქირია, სასამართლო გადაწყვეტილებათათეორიულ-პრაქტიკული კომენტარებისაქართველოსსამოქალაქოსაპროცესოკოდექსისმიხედვით, თბილისი, 2002, გვ. 63.

¹²თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი. II გამოცემათბ. 2005 გვ.332

დამტკიცებულებებს, ისინი შეიძლება წარდგენილ იქნან სააპელაციო სასამართლოში მხოლოდ გარკვეული პირობების არსებობისას და მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში.

აპელაციის ყოველ სახეს აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. მაგალითად, სრული (შეუზღუდავი) აპელაციის დროს მხარეები მთელ თავის იმედებს ამყარებენ სააპელაციო სასამართლოზე. ამიტომ, ხშირად, გარკვეული ტაქტიკური, თუ სხვა მოსაზრებებით არ მიუთითებენ გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელოვან ფაქტებზე, არ წარუდგენენ პირველი ინსტანციის სასამართლოს ყველა მათ ხელთ არსებულ მტკიცებულებებს და ა.შ. ყველა ამ ფაქტისა თუ მტკიცებულების წარდგენა სარისკოცაა იმ თვალსაზრისით, რომ ისინი შეიძლება უარყოს პირველი ინსტანციის სასამართლომ როგორც არასარწმუნო ან როგორც სამართლებრივად უმნიშვნელო და სხვ. ამიტომ, უმჯობესია, გაცილებით უფრო ნაკლებ სარისკოა და უფრო ეფექტიანი შეიძლება აღმოჩნდეს მათი შემონახვა და შემდგომ წარდგენა მეორე ინსტანციის სასამართლოში. სრული აპელაცია უარყოფით ზემოქმედებას ახდენს აგრეთვე პირველი ინსტანციის სასამართლოზეც, რომელმაც არ იცის რას მოიმოქმედებენ მხარეები აპელაციაში, რომელ ახალ ფაქტებსა და მტკიცებულებებს წარუდგენენ ისინი ამ სასამართლოს და რა ბედი ეწევა მის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას.

შეიძლება

გადაუჭარბებლად ითქვას, რომ სრული აპელაცია მართალია უზრუნველყოფს მხარეთა აქტიურობას აპელაციაში - სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვის დროს, მაგრამ ვერ უზრუნველყოფს ამას პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმეთა განხილვის დროს.

ასეთ ვითარებას, საბოლოო ანგარიშში, მივყევართ როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოს ფუნქციისა და პრესტიჟის შესუსტებამდე, ისე საქმის საბოლოოდ გადაწყვეტის უზომოდ გაჭიანურებამდე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სრული (შეუზღუდავი) აპელაცია - ესაა პირველი ინსტანციის სასამართლოს განმეორება და არა გაგრძელება.

რაც შეეხება არასრულ (შეზღუდულ) აპელაციას, ეს ისეთი აპელაციაა, რომლის დროს ახალი ფაქტებისა და ახალი მტკიცებულებების წარდგენა სააპელაციო სამართალწარმოებაში დასაშვებია მხოლოდ კანონით განსაზღვრული პირობების არსებობისას (მაგალითად, თუ არსებობს საპატიო მიზეზი, რის გამოც მათი წარდგენა პირველ ინსტანციაში ვერ განხორციელდა)¹³.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში აპელაციის სხვადასხვა მოდელების (სახეების) შესწავლისა და განხილვის შედეგად უპირატესობა მიენიჭა არასრულ აპელაციას, რაც ნათლად და საკმაოდ სისრულით აისახა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში. ისეთ პირობებში, როდესაც საქართველოში, არც ადრე და არც ეხლა, ყველა არ იწონებდა და არც ეხლა იწონებს ამჟამად უკვე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დამკვიდრებულ არასრულ აპელაციას, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნის 99-ე პუნქტი, რომლის თანახმად: „ზოგიერთი ქვეყნის წესები და კულტურა, რომელთა საფუძველზეც რეგულირდება სასამართლო პროცესის წარმოება, უფლებას აძლევს მხარეებს შეიტანონ შესწორებები და დამატებები საქმეში ან სამხილში თითქმის შეუზღუდავად - აპელაციის სტადიაზეც კი. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს აზრით, ასეთი მეთოდი არ არის მისაღები და მოვიდა დრო, როცა ამგვარი წესები უნდა გადაფასდეს და შეიცვალოს. მხარეები უფლებამოსილი არიან მათი პრეტენზიისა თუ

¹³ თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი. II გამოცემათბ. 2005 გვ.334

დაცვის `სამართლიან სასამართლო მოსმენაზე, რომელიც უნდა დასრულდეს მისაღებ ვადაში` და არა განუსაზღვრელ შესაძლებლობებზე, წარმოადგინონ შემდგომი ან სხვა საქმეები, ეს განსაკუთრებით ეხება მეორე ინსტანციის მიერ აპელაციის მოსმენას¹⁴. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს აგრეთვე ამ დასკვნის 136-ე პარაგრაფი: „თუმცა პატივისცემის გრძნობით ეპყრობა ზოგიერთი ქვეყნის ტრადიციას, რომელიც გულიხმობს შეუზღუდავ უფლებას მეორე ინსტანციაში განმეორებით პროცესის ჩატარებაზე აპელაციასთან დაკავშირებით, ევროპის მოსა-მართლეთა საკონსულტაციო საბჭო გამოთქვამს საკუთარ შეხედულებას იმის თაობაზე, რომ იგი პრინციპში არ იწონებს ასეთ მიდგომას; უნდა არსებობდეს გარკვეული შეზღუდვები ყოველი მხარისათვის წარმოადგინოს ახალი მტკიცებულება ან სამართლის ახალი საკითხები, აპელაცია არ უნდა იყოს და არ უნდა განიხილებოდეს, როგორც შეუზღუდავი შესაძლებლობა შესწორებების შეტანისა ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებში, რომელთა წარდგენაც მხარეს შეეძლო და უნდა წარედგინა პირველ ინსტანციაში. ეს აკნინებს პირველი ინსტანციის მოსამართლის როლს და ამ ფაქტმა შეიძლება პოტენციურად გამოიწვიოს პირველი ინსტანციის მოსამართლის მიერ საქმის მართვის არამიზანშენიშნულობის დღის წესრიგში დაყენება“¹⁵.

სააპელაციო

სასამართლოს ქართული მოდელი წარმოადგენს ე.წ. არასრულ (შეზღუდულ) აპელაციას¹⁶. იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ არასრული აპელაციის დროს სააპელაციო საჩივრის დასაბუთებულობა მოწმდება იმ ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით და იმ მტკიცებულებებით,

¹⁴თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო პროცესუალურისამართალი. II გამოცემათბ. 2005 გვ.335

¹⁵იქვე, გვ.336

¹⁶ Курс гражданского процесса: теоретические начала и основные институты, Сахонова Т.В. 2008г., с. 633

რომლებიც წარმოდგენილი იყო პირველი ინსტანციის სასამართლოში და რომლებიც შეამოწმა და შეაფასა ამ სასამართლომ¹⁷. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ სააპელაციო სასამართლოში არ დაიშვება ახალი ფაქტებისა და მტკიცებულებების წარმოდგენა. არასრული აპელაციის დროს ახალი ფაქტებისა და მტკიცებულებების წარდგენა სააპელაციო სამართალწარმოებაში დასაშვებია მხოლოდ კანონით განსაზღვრული პირობების არსებობისას (სსსკ 380-ე და 382-ე მუხლები). საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში, ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სამართლებრივი თვალსაზრისით შემონმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით. წინა პარაგრაფში ჩვენ განვიხილეთ აღნიშნული ნორმები და როგორც უკვე მივუთითეთ, “შემონმების სამართლებრივ მხარეში” უნდა ვიგულისხმოთ კანონის ნებისმიერი დარღვევის შემონმება. ამდენად,

სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერების შემონმებისას ვალდებულია, შეამოწმოს პირველი ინსტანციის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების იურიდიული მხარე, ასევე ის, თუ რამდენად კანონის მოთხოვნათა დაცვით არის ისინი დადგენილი. საკასაციო სასამართლოს მსგავსად, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების დარღვევების შემონმებისას სააპელაციო სასამართლო არ არის შეზღუდული (შეზღუდული) სააპელაციო საჩივრის ფარგლებით და შეუძლია, შეამოწმოს მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების დარღვევები სრული მოცულობით იმ მატერიალური ხასიათის ნორმების ჩათვლით, რომელზეც აპელანტი არ

¹⁷ თ. თოდრია, ფაქტობრივი გარემოებების მნიშვნელობა საკასაციო სასამართლოში სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად თბ. 2010 ვვ.21

უთითებდა. ამით ეს ორი ინსტანციის სასამართლო ერთმანეთს ემსგავსება.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია შემდეგი მოსაზრება: “გადაწყვეტილების, როგორც ფაქტობრივი, ისე იურიდიული დასაბუთებულობის შემონმების დროს სააპელაციო სასამართლოს შეუძლია გასცდეს სააპელაციო საჩივრის ფარგლებს, ე.ი. შეუძლია შეამონმოს ისეთი დარღვევები, დაშვებული მტკიცებულებების შეფასებისა და ფაქტობრივი გარემოებების დადგენის დროს, აგრეთვე კანონის ისეთი დარღვევები, რომლებზეც არ იყო მითითებული სააპელაციო საჩივარში.¹⁸” ამასთან მიმართებით

მეტად საინტერესოა საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც ეხება სააპელაციო სასამართლოში საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თავისებურებებს (სსსკ 376¹-ე მუხლი). კერძოდ, განსახილველი ნორმა უშვებს იმას, რომ სააპელაციო საჩივარი შეიძლება ემყარებოდეს კანონის დარღვევას და მოითხოვდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების (განჩინების) მხოლოდ სამართლებრივი მხარის შემონმებას, ხოლო სხვა შემთხვევაში, შეიძლება მოითხოვდეს (სააპელაციო საჩივარი) არამართო სამართლებრივი, არამედ - მისი ფაქტობრივი საფუძვლიანობის შემონმებასაც (იგულისხმება არა ახალი ფაქტები და მტკიცებულებები, არამედ პირველ ინსტანციაში წარდგენილი მტკიცებულებები და დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები). აღნიშნული მუხლი, მიუხედავად იმისა, რომ ეხება ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის განხილვის გადაწყვეტის საკითხს, მოიცავს ისეთ დებულებებს, რომლებიც ბადებს კითხვებს აპელაციის მიერ გადაწყვეტილების შემონმების მოცულობასთან დაკავშირებით, კერძოდ, კანონის მითითებულმა ცვლილებებმა ხომ არ შეიტანა გარკვეული კორექტივები აპელაციის მიერ გადაწყვეტილების შემონმების ფარგლებში და ამავე დროს, ხომ არ დააყენა

¹⁸ თ. ლილუაშვილი. საქართველოს ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. უურნალი “ქართული სამართლის მიმოხილვა”, მე-4 კვარტალი, 1998 წელი, გვ. 19-20

ეჭვქვეშ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებები? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, ვფიქრობთ, უნდა დავაზუსტოთ, რას ნიშნავს გადანწყვეტილების შემონმების ფარგლები აპელაციაში. იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება (სსსკ 377-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით), რომ “სააპელაციო საჩივრის ფარგლებში იგულისხმება ის მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნა, რომელსაც აპელანტი აყენებს საჩივარში და სააპელაციო სასამართლოს შეზღუდვა საჩივრის ფარგლებით, ამ მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნით შეზღუდვას გულისხმობს¹⁹.”

ვიზიარებთ ამ მოსაზრებას და დამატებით განვმარტავთ, რომ როგორც სააპელაციო, ასევე საკასაციო საჩივრის ფარგლების დაცვის მოთხოვნაში იგულისხმება საუარესოდ შებრუნების აკრძალვა (non reformation in pejus), რასაც საფუძვლად უდევს დისპოზიციურობის პრინციპი.

აღნიშნულის გათვალისწინებით, აუცილებლად მივიჩნევთ, ყურადღება გავამახვილოთ, ერთი მხრივ, გადანწყვეტილების შემონმების ფარგლებზე (სააპელაციო სასამართლოში), ხოლო მეორე შემთხვევაში - სააპელაციო საჩივრის ფარგლებზე, რაც არაიდენტური, მაგრამ ლოგიკურ დაქვემდებარებაში არსებული ცნებებია (ცნებათა ურთიერთდამოკიდებულების პრინციპი). მივიჩნევთ, რომ გადანწყვეტილების შემონმების ფარგლების განსაზღვრისას მასში უნდა ვიგულისხმოთ არა მარტო მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის ფარგლები, არამედ - ამ მოთხოვნის სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლების ფარგლებიც.

ამ შემთხვევაში არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ჩვენ მიერ მოყვანილ სსსკ 376¹-ე მუხლის დანაწესს, რომელიც ფაქტობრივად უშვებს გასაჩივრებელი გადანწყვეტილების შემონმებას ან მხოლოდ

¹⁹შ. ქურდაძე, სამოქალაქო საქმეთა განხილვა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებში, თ. 2006, გვ. 29.

სამართლებრივი, ან როგორც სამართლებრივი, ასევე - ფაქტობრივი თვალსაზრისით²⁰.

ამდენად, შესაძლებელია დავასკნათ, რომ სამართლებრივი და ფაქტობრივი შემონმების ფარგლები განპირობებულია აპელანტის მითითებით და ისიც - სააპელაციო საჩივრის ფარგლების დაცვით.

მიგვაჩნია, რომ სსსკ 376¹-ე მუხლით განსაზღვრულია მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის საფუძვლების შემონმების წინაპირობები, რითაც დადგინდა სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების შემონმების ფარგლები. ამდენად, “ფორმულა” აპელაციაში გადაწყვეტილების შემონმების ფარგლების შესახებ შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგი სახით: გადაწყვეტილების შემონმების ფარგლები (აპელაციაში) არის (აპელანტის ასეთი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში) პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების მხოლოდ სამართლებრივი, ან სამართლებრივი და ფაქტობრივი თვალსაზრისით შემონმება და ისიც - მხოლოდ აპელანტის მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის ფარგლებში. მაგრამ ეს პასუხი მოითხოვს გარკვეულ დაზუსტებას, რაც უშუალოდ ეხება სამართლებრივი საფუძვლების შემონმების ფარგლებს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი მხარის შემონმება ფაქტობრივი გარემოებების გაუთვალისწინებლად არა მარტო დაუშვებელი, არამედ შეუძლებელიცაა. მაგრამ პირველი ინსტანციის სასამართლოსაგან განსხვავებით, სააპელაციო სასამართლო გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი მხარის შემონმებისას აფასებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ უკვე დადგენილი ფაქტების იურიდიულ მხარეს, სსსკ 393-ე და 394-ე მუხლების

²⁰ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, თბილისი, 1997წ. (ცვლილებებითა და დამატებებით) /www.matsne.gov.ge/ უკანასკნელად გადამონმებულ იქნა 10.07.2016წ.

მიხედვით (ახალი ფაქტები და მტკიცებულებები მხედველობაში მიიღება სსსკ 380-ე მუხლის თანახმად²¹).

ამგვარად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი მხარის შემონმების ფუნქციით სააპელაციო სასამართლო ემსგავსება საკასაციო სასამართლოს, მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მხოლოდ - მატერიალურ-სამართლებრივი მხარის შემონმების ფუნქციით. რაც შეეხება პროცესუალურ-სამართლებრივ შემონმებას, აქ საქმე სხვაგვარადაა. კერძოდ, საპროცესო დარღვევების შემონმება სააპელაციო სასამართლოში შეიძლება უკავშირდებოდეს სამართლებრივი და ფაქტობრივი კუთხით შემონმებას.

ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება აპელანტის მოთხოვნის შინაარსში გარკვევას იმ პროცესუალურ დარღვევებთან მიმართებით, რომლებიც მოსამართლის ინიციატივით არ მონმდება.

სააპელაციო სასამართლო შებოჭილია სააპელაციო საჩივრის მოთხოვნით. სააპელაციო სამართალწარმოების პროცესუალური ნორმების ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების პროცესუალურ-სამართლებრივი შემონმება მოიცავს შემონმების უფრო ფართო შესაძლებლობას. ვფიქრობთ, რომ აღნიშნული მასშტაბის არსებობა ნაკარნახევია იმით, რომ სააპელაციო სასამართლო საქმეს იხილავს არსებითად იმ თავისებურებების გათვალისწინებით, რომლებიც განსაზღვრავს ფაქტობრივ გარემოებებთან დამოკიდებულების ხარისხსა და ფორმებს.

საფრანგეთის სააპელაციო სამართალწარმოების მიხედვით, სააპელაციო სასამართლო საქმეს იხილავს არსებითად, შეუძლია კვლავ დაუბრუნდეს მტკიცებულებების შემონმებას და მიიღოს მათი გამოკვლევისათვის დამატებითი ზომები, ასევე შეცვალოს პირველი

²¹ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, თბილისი, 1997წ. (ცვლილებებითა და დამატებებით) /www.matsne.gov.ge/ უკანასკნელად გადამონმებულ იქნა 10.07.2016წ.

ინსტანციის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მთლიანად ან ნაწილობრივ, ან ძალაში დატოვოს იგი. მაგრამ ყოველივე ეს უკავშირდება იმას, რომ საფრანგეთის სააპელაციო სასამართლოს არსებითად შეუძლია, გადაამოწმოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება²².

სსსკ 382-ე მუხლი მიუთითებს სააპელაციო სასამართლოში მტკიცებულებათა გამოკვლევის წესზე. აქ ყურადღებას გავამახვილებთ აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია, გაიზიაროს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგები მთლიანად ან ნაწილობრივ²³.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ სააპელაციო სასამართლო არ არის “შებოჭილი” პირველი ინსტანციის მიერ გამოკვლეულ მტკიცებულებათა შედეგების შეფასებით და მის მიხედულებაზე დამოკიდებული, მთლიანად გაიზიარებს მათ (პირველი ინსტანციის მიერ მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგებს), თუ - ნაწილობრივ. ეს მიხედულება არ არის დამოკიდებული მოსამართლის სურვილზე. იგი დამოკიდებულია მრავალ სამართლებრივ ფაქტორზე, რომლიდანაც პირველ რიგში უნდა გამოვყოთ ის, რომ მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგები ფასდება მხოლოდ სააპელაციო საჩივრისა და აპელანტის მიერ მითითებული მტკიცებულების ფარგლებში. აღნიშნული მიხედულება, როგორც ჩვენ ვფიქრობთ, არის სამოსამართლო სამართლის ერთ-ერთი გამოვლინება, რომელსაც ყველაზე მეტად მიესადაგება შემდეგი მოსაზრება: სამოსამართლო სამართალში ამ შემთხვევაში შეიძლება ვიგულისხმოთ სასამართლოს მიერ მართლმსაჯულების განხორციელების ვარიანტის თავისუფალი არჩევა, რომელიც შეზღუდულია სამართლის ნორმის

²² С.В. Боботов. Правосудие во Франции, изд. «ЕАВ» 1994г. с., 86.

²³ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, თბილისი, 1997წ. (ცვლილებებითა და დამატებებით) /www.matsne.gov.ge/ უკანასკნელად გადაამოწმებულ იქნა 10.07.2016წ.

შინაარსით და ასევე სამართალშეფარდებით სიტუაციასთან მიმართებით - გარეგანი და შინაგანი გარემოებებით²⁴. ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ მოსამართლის მიხედულება მტკიცებულებათა შედეგების მთლიანად თუ ნაწილობრივ გაზიარების შესახებ ასევე გულისხმობს იმას, რომ მოსამართლემ შეიძლება საერთოდ არ გაიზიაროს პირველი ინსტანციის სასამართლოს შედეგები, რაც უკავშირდება სამართალშეფარდების კანონზომიერებებს. ამდენად, სამოსამართლო სამართალი სამართლის შეფარდების და არა - სამართალშემოქმედების აქტია. სამოსამართლო სამართალი არის არა სამართლის წყარო, არამედ - სამართლის შემეცნების წყარო²⁵.

რა თქმა უნდა, როდესაც ვსაუბრობთ აღნიშნულ შედეგებზე, მხედველობაში გვაქვს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, ხოლო მათი გაზიარება ან არგაზიარება ხდება ამ ფაქტობრივი გარემოებების იურიდიული შეფასების გზით.

მაგრამ ეს დანაწესი, სსსკ 376¹-ე მუხლის კონტექსტის გათვალისწინებით, როდესაც აპელანტი უთითებს პროცესუალური ნორმების დარღვევაზე, იძენს თავისებურ დატვირთვას, რადგან ამ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლო იურიდიულ შეფასებას აძლევს არა მარტო მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგებს, ე.ი. მტკიცებულებებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, არამედ - ამ ფაქტების დადგენის მართებულებასაც.

ცხადია, რომ მატერიალურ-სამართლებრივი კუთხით სასამართლოს გადაწყვეტილების შეფასებისას სააპელაციო სასამართლო არ არის შემლუდული კანონის დარღვევაზე მითითებით, მაგრამ როგორ გვაქვს საქმე, როდესაც ხდება პროცესუალურ-სამართლებრივი დარღვევები?

²⁴ Р.О. Опалев, Автореферат, Оценочные понятия в арбитражном и гражданском процессуальном праве, Екатеринбург, 2008г. с. 10.

²⁵ გიორგი ხუბუა, სტატია, "სამოსამართლო სამართალი:სამართლის წყარო თუ სამართლის შემეცნების წყარო?" *ჩუენალი "მართლმსაჯულება და კანონი"* 15(7)05.

ამ საკითხში გასარკვევად, ვფიქრობთ, უნდა დავაზუსტოთ პროცესუალური დარღვევების რაობა.

ამ მხრივ შეიძლება პროცესუალურ-სამართლებრივი დარღვევები დავყოთ ორ ჯგუფად:

1) ეს ისეთი დარღვევებია, რომლებიც წარმოადგენს გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს (სსსკ 394-ე მუხლი, დანვ. იხ. პირველი პარაგრაფი²⁶), და

2) პროცესუალური დარღვევები, რომლებსაც შედეგად მოჰყვა საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა (სსსკ 393-ე მუხლის მე-3 ნაწილი²⁷).

პირველ შემთხვევაში პროცესუალურ დარღვევებს მოსამართლე ამონმებს თავისი ინიციატივით, რაც წარმოადგენს მის ვალდებულებას. აღნიშნულ დარღვევებს ჩვენ არ ვეხებით. ჩვენი ინტერესის სფეროს, კონკრეტულ შემთხვევაში, წარმოადგენს მეორე ჯგუფის დარღვევები და ზემოაღნიშნული საკითხის წამოჭრა განპირობებულია ზუსტად ამ ხასიათის დარღვევების არსებობით. კერძოდ, ეს ისეთი დარღვევებია, რომლებსაც მოსამართლე ამონმებს მხოლოდ აპელანტის მითითების საფუძველზე.

ეს პროცესუალური დარღვევები, უპირველეს ყოვლისა, ეხება მტკიცებით პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს, მისი ყველა ელემენტის ჩათვლით.

ამ მხრივ საინტერესოა გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის §529 მე-2 ნაწილის დანაწესი, რომელთა თანახმად, სასამართლო თავისი ინიციატივით არ ამონმებს გასაჩივრებულ სასამართლო გადაწყვეტილებას პროცესუალურ-სამართლებრივი დარღვევების კუთხით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამის შესახებ განაცხადებს აპელანტი კანონით დადგენილი წესით.

²⁶ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, თბილისი, 1997წ. (ცვლილებებითა და დამატებებით) /www.matsne.gov.ge/ უკანასკნელად გადამონმებულ იქნა 10.07.2016წ.

²⁷ იქვე

აღნიშნული დანაწესი ფაქტობრივად გამომდინარეობს &529 პირველი ნაწილის პირველი და მე-2 პუნქტებიდან, რომლის თანახმად, საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების გამოტანისას სააპელაციო სასამართლო უნდა ხელმძღვანელობდეს ფაქტებით, რომლებიც დაადგინა პირველი ინსტანციის სასამართლომ, თუ არ არსებობს კონკრეტული ცნობები, რომლებიც ასაბუთებენ საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებებთან დაკავშირებულ ფაქტებს სრული და მართებული დასკვნების შესახებ და ამიტომ ამ დასკვნების გადასინჯვის საჭიროება არ არის. ხოლო რაც ეხება ახალ ფაქტებს, ისინი მხედველობაში მიიღება მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

ამდენად, უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი უფრო ნათლად განსაზღვრავს სააპელაციო სასამართლოს უფლებამოსილებას პროცესუალურ-სამართლებრივ დარღვევებთან მიმართებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ასე მკაფიოდ არ განსაზღვრავს სააპელაციო სამართალწარმოებისას გასაჩივრებული გადაწყვეტილების პროცესუალურ-სამართლებრივი დარღვევების შემოწმებასთან დაკავშირებულ დამოკიდებულებას, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ სააპელაციო სასამართლოს ქართული მოდელი, გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მსგავსად, წარმოადგენს არასრულ (შეზღუდულ) აპელაციას, ვფიქრობთ, რომ უნდა გათვალისწინებულ იქნეს ყველა ის ნიშანთვისება, რაც ახასიათებს შეზღუდული (არასრული) აპელაციის მოდელს²⁸. სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივი პოლიტიკა, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება იმაში, რომ აპელაციაში არ მოხდეს პირველი ინსტანციის გამეორება.

ევროპის

²⁸ თ. ლილუაშვილი, აპელაცია სამოქალაქო პროცესში. პრაქტიკული სახელმძღვანელო, თ. 2005წ., გვ. 458.

მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნის 136-ე პარაგრაფის თანახმად: “აპელაცია არ უნდა იყოს და არ უნდა განიხილებოდეს, როგორც შეუზღუდავი შესაძლებლობა შესწორებების შეტანისა ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებში, რომელთა წარდგენაც მხარეს შეეძლო და უნდა წარედგინა პირველ ინსტანციაში. ეს აკნინებს პირველი ინსტანციის მოსამართლის როლს და ამ ფაქტმა შეიძლება პოტენციურად გამოიწვიოს პირველი ინსტანციის მოსამართლის მიერ საქმის მართვის არამიზანშენილობის დღის წესრიგში დაყენება²⁹.”

შეიძლება ითქვას, რომ მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი გარკვეულწილად ითვალისწინებს ამ პრინციპებს, მაგრამ თავს უფლებას მიეცემთ, აღვნიშნოთ, რომ ბოლო საპროცესო ცვლილებების გათვალისწინებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მოითხოვს გარკვეულ დაზუსტებას რიგ საკითხებთან მიმართებით.

მაგალითად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ქართული მოდელი არ ითვალისწინებს ცალკე დათქმას იმის შესახებ, შეუძლია თუ არა სააპელაციო სასამართლოს, თავისი ინიციატივით შეამოწმოს პროცესუალური დარღვევები, როდესაც სსსკ 376¹-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში იგი ამონებს მხოლოდ გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივ მხარეს. მივიჩნევთ, რომ ამ შემთხვევაში არ არის გამოკვეთილი სააპელაციო სასამართლოს დამოკიდებულება ფაქტებთან მიმართებით გასაჩივრებული გადაწყვეტილების მხოლოდ სამართლებრივი კუთხით შემოწმებისას, ისე, როგორც - საკასაციო სამართალწარმოების პროცესუალური ნორმებით.

ამ საკითხებში გარკვეული სიცხადის შესატანად, ვფიქრობთ, ყურადღება უნდა გავამახვილოთ აპელანტის უფლებაზე. კერძოდ, იმ შემთხვევაში,

²⁹ თ. ლილუაშვილი, აპელაცია სამოქალაქო პროცესში. პრაქტიკული სახელმძღვანელო, თ. 2005წ., გვ. 458.

როდესაც სააპელაციო საჩივარი ემყარება კანონის დარღვევას და აპელანტი მოითხოვს გასაჩივრებული გადაწყვეტილების (განჩინების) მხოლოდ სამართლებრივი მხარის შემოწმებას, აპელანტი სადავოდ არ ხდის არც ფაქტებს და არც მათ დადგენასთან დაკავშირებულ პროცესუალურ საშუალებებს. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წარმოდგენილი მოთხოვნები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა დადასტურდეს ეს ფაქტები (შეჯიბრებითობის პრინციპი, სსსკ მე-4 მუხლის პირველი ნაწილი³⁰).

ყოველივე ეს თავისთავად მიუთითებს იმაზე, რომ სასამართლო თავისი ინიციატივით სადავოდ ვერ გახდის ფაქტობრივ მხარეს. ამდენად, ამ შემთხვევაში სასამართლო არ შეამოწმებს პროცესუალურ დარღვევებს და ვალდებული იქნება, შემოიფარგლოს მხოლოდ პირველი ინსტანციის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების იურიდიული შემოწმებით. ვფიქრობთ, რომ ზემოაღნიშნულის კონტექსტში უნდა განიმარტოს სსსკ 368-ე მუხლის პირველი ნაწილის “ე” და “ვ” ქვეპუნქტები, რომლებიც მოითხოვს, რომ სააპელაციო საჩივარი შეიცავდეს მითითებას, თუ რაში მდგომარეობს გადაწყვეტილების უსწორობა, კონკრეტულად რას მოითხოვს სააპელაციო საჩივრის შემტანი პირი, ასევე მითითებას გარემოებებზე, რომლებიც ასაბუთებენ სააპელაციო საჩივარს, და მტკიცებულებებზე, რომლებიც ადასტურებენ ამ გარემოებებს³¹.

³⁰ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, თბილისი, 1997წ. (ცვლილებებითა და დამატებებით) /www.matsne.gov.ge/ უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 10.07.2016წ.

³¹ იქვე

კიდევ ერთხელ დავძენთ, რომ ჩვენ ამ შემთხვევაში ყურადღებას არ ვამახვილებთ ისეთ პროცესულურ დარღვევებზე, რომლებიც წარმოადგენს გადაწყვეტილების აბსოლუტური გაუქმების საფუძველს. ჩვენ მხედველობაში გვაქვს მხოლოდ ისეთი პროცესულური დარღვევები, რომლებზეც ყურადღება შეიძლება გაამახვილოს აპელანტმა. ზუსტად, აპელანტის მიერ პროცესულური დარღვევების შემონმების შესახებ მოთხოვნის ფარგლები განსაზღვრავს სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების შემონმების მხარეებს – მხოლოდ სამართლებრივი თუ - სამართლებრივი და ფაქტობრივი. აქედან გამომდინარე, პროცესულური დარღვევის ერთი სახეობა შეიძლება მიეკუთვნებოდეს შემონმების სამართლებრივ მხარეს, ხოლო მეორე - ფაქტობრივს.

1.3. სააპელაციო სამართალწარმოების გერმანული მოდელი

სასამართლო დადგენილებების გასაჩივრების საშუალებები ჩართულია გერმანიის საპროცესო თეორიაში სამართლებრივი დაცვის საშუალებათა ცნებაში, რომელშიც ისინი შეადგენენ განსაკუთრებულ ქვეჯგუფს.

სასამართლო დადგენილებების შემონმების მოცულობა დამოკიდებულია მათი გასაჩივრების საშუალებებზე. სასამართლო გადაწყვეტილებების გასაჩივრებისას სააპელაციო წესით, გარდა კონკრეტულ საქმეზე სამართლის ნორმების გამოყენების სისწორის შემონმებისა, სასამართლოს გააჩნია, აგრეთვე, უფლებამოსილებები საქმეზე ფაქტიური გარემოებების შემონმებაზე, მაშინ, როდესაც სასამართლო გადაწყვეტილებების სარევიზიო გასაჩივრებისას, სარევიზიო ინსტანციის უფლებამოსილებები შემოიფარგლება ქვემდგომი სასამართლოს მიერ სამართლის ნორმების გამოყენების სისწორის შემონმებით.

გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით

დადგენილია სამი საშუალება სასამართლო დადგენილებების გადასახედად: აპელაცია, რევიზია, საჩივარი. გასაჩივრების თითოეულ საშუალებას გააჩნია დაშვებულობისა და დასაბუთებულობის კრიტერიუმები. დაშვებულობის ცნება მოიცავს რამდენიმე ელემენტს: განსაზღვრული სასამართლო აქტისადმი გასაჩივრების შესაბამისი საშუალების გამოყენების შესაძლებლობა, სასამართლო აქტების გასაჩივრებაზე საპროცესო ვადების დაცვა, საჩივრის ფორმისა და შინაარსის დაცვა, საჩივრის წაყენება.

გასაჩივრების საშუალებების დაშვებულობა, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს მხარეების მიერ შესაბამისი, კანონში მითითებული გასაჩივრების საშუალებით სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობას. გასაჩივრების საშუალებები განსაზღვრული არიან საპროცესო ვადით. ისინი შიძლება გავყოთ ორ სახედ³²:

ა) ვადა გასაჩივრების განსაზღვრული საშუალების წარდგენისთვის (მაგალითად, ვადა აპელაციის აღძვრაზე შეადგენს ერთ თვეს);

ბ) ვადა დასაბუთებისთვის სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში (მაგალითად, ვადა სააპელაციო საჩივრის დასაბუთებისთვის შეადგენს ერთ თვეს).

გარდა დაშვებულობისა, გასაჩივრების წარმოდგენილი საშუალება, შესაბამისად საჩივარი (მაგალითად, სარევიზიო საჩივარი), უნდა იყოს დასაბუთებული. დასაბუთებულობის ცნების გაშლისას, გერმანელი პროცესუალისტები ერთიანი არიან იმაში, რომ სასამართლო აქტის

³²Давтян, А. Г. (Ани Гамлетовна). Гражданское процессуальное право Германии : Основные институты : Автореферат диссертации на соискание ученой степени доктора юридических наук. - М., 2002, გვ.38

სისწორეზე ან არასწორობაზე დამოკიდებულია გასაჩივრების წარდგენილი საშუალების დასაბუთებულობა, ე.ი. რაც უფრო მეტ ნაკლოვანებას შეიცავს გასაჩივრებელი სასამართლო გადაწყვეტილება, მით უფრო დასაბუთებულია ეს გასაჩივრება (ლ. როზენბერგი, კ - გ. შვაბი, პ. გოტვალდი). ასაჩივრებს რა სასამართლო გადაწყვეტილებას, მოსარჩელე ელის, რომ ახალი გადაწყვეტილება გააუმჯობესებს მის სამართლებრივ მდგომარეობას, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ გაუარესებს მას. ამ მოლოდინის სამართლიანობა შეესაბამება ახალი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ აკრძალვის კანონმდებლურ განმტკიცებას, რომელიც აუარესებს მოსაჩივრის მდგომარეობას იმ გადაწყვეტილების მიმართ, რომელიც მან გაასაჩივრა (das Verschlechterungsverbot) (სსკ-ს §§ 521, 536, 559).

აპელაცია

მეორედ ხსნის გერმანიის სამოქალაქო პროცესში „პირველი ინსტანციურ“ წარმოებას სამოქალაქო საქმეზე, რადგან სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია არა მარტო სასამართლო აქტის გადახედვაზე, შემოწმებასა და კორექციაზე, არამედ სამოქალაქო დავის ახლებურად განხილვასა და გადაჭრაზე.

აპელაცია

წარმოადგენს სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების საშუალებას ნაწილში ან მთლიანად, რომლის შესაბამისად ხორციელდება აქხალი სასამართლო გარჩევა სამოქალაქო საქმეზე ახალი სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანით. სააპელაციო საჩივარი შეაქვთ პირველი ინსტანციის სასამართლოში გამოტანილ საბოლოო გადაწყვეტილებებზე. სააპელაციო საჩივრის შემტანის მიერ სასამართლო გადაწყვეტილებების გასაჩივრების მიზანს წარმოადგენს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების შეცვლა, რომელიც არახელსაყრელია მისთვის.

ტერიტორიულ განსჯადობასთან

ერთად ამტყვერებთ, პირველი ინსტანციების სასამართლოების, გადანაცვლებათა გასაჩივრებისას ლანდგერებში, რომლებიც ამ შემთხვევებში გამოდიან სააპელაციო ინსტანციად ამტყვერებთან მიმართებაში, სააპელაციო საჩივრის შეტანისას დაცულ უნდა იქნეს საგნობრივი განსჯადობაც, კომპეტენციის გამიჯვნა სამოქალაქო საქმეებით დაკავებულ პალატასა და სავაჭრო საქმეებით დაკავებულ პალატას შორის წარმოებაში სამოქალაქო საქმის მიღების შემთხვევაში მისი სააპელაციო წესით განხილვისთვის. სააპელაციო საჩივრებს პირველი ინსტანციების სასამართლოების გადანაცვლებათა წინააღმდეგ განიხილავს, ძირითადად, სამოქალაქო საქმეებით დაკავებული პალატა. სავაჭრო საქმეებით დაკავებული პალატა განიხილავს სავაჭრო საქმეებს ან დავებს (სავაჭრო საქმეები ან დავები ეწოდება დავებს, რომლებშიც³³:

- 1) ორივე მხარე კომერსანტია;
- 2) დავები, რომლებიც გამომდინარეობენ გერ სავაჭრო კოდექსით გათვალისწინებული დოკუმენტებიდან ან თამასუქებიდან;
- 3) დავები, რომლებიც გათვალისწინებულია კანონმდებლობით ჩეკების შესახებ;
- 4) სასამართლო წყობილების შესახებ კანონში მითითებული სხვა სამართალდარღვევებიდან გამომდინარე დავები.

სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს უფლებამოსილებები მდგომარეობს იმაში, რომ განიხილავს რა სამოქალაქო საქმეს, სააპელაციო სასამართლოს უფლება აქვს:

³³ Давтян, А. Г. (Ани Гамлетовна). Гражданское процессуальное право Германии : Основные институты : Автореферат диссертации на соискание ученой степени доктора юридических наук. - М., 2002, გვ.39

1) გააუქმოს შეტანილი საჩივარი ზეპირი გარჩევის გარეშე (ამ შემთხვევებში სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს გამოაქვს სასამართლო განჩინება);

2) გააუქმოს საჩივარი, გამოიტანს რა სასამართლო გადაწყვეტილებას საქმის ზეპირი გარჩევის შემდეგ;

3) გააუქმოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, ქვემდგომ სასამართლოში ახალი გარჩევითვის მისი დაბრუნებით;

4) გააუქმოს სასამართლო გადაწყვეტილება პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის გაგზავნით ახალი გარჩევითვის, საპროცესო ნაკლოვანებების მიზეზით.

სააპელაციო წარმოებაში არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მტკიცებულებები, რომელთა გამოყენება გაუქმებულ იქნა პირველი ინსტანციის სასამართლოში. ამრიგად, წინაპირობები სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში საჩივრის შესატანად, აგრეთვე, სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს უფლებამოსილებები საშუალებას გვაძლევენ გავმიჯნოთ სააპელაციო სასამართლოში განსახილველი სამოქალაქო საქმეების წრე როგორც პირველი, ისე სარევიზიო ინსტანციის სასამართლოებისაგან.

გერმანიაში სამართლებრივი კონტროლი სასამართლო გადაწყვეტილებებზე ხორციელდება სარევიზიო ინსტანციების სასამართლოების მიერ. სარევიზიო წარმოებაში დავა განიხილება ხელახლა მხოლოდ სამართლებრივ ასპექტში, სააპელაციო სასამართლოს მიერ კონსტატურებული სამოქალაქო საქმის ფაქტიური საფუძველი რჩება სარევიზიო ინსტანციის სასამართლოსთვის აუცილებელ საფუძველად, იმ შემთხვევების გამოკლებით, როდესაც ეს კონსტატაცია გაპროტეს-

ტებულია დასაშვებ ფარგლებში და დასაბუთებულად³⁴. გერმანულ სამართალწარმოებაში საკითხი რევიზიის მიზნის შესახებ რჩება სადისკუსიო. ერთო მოსაზრება მდგომარეობს იმაში, რომ რევიზია ემსახურება მხოლოდ და მხოლოდ მართლმსაჯულების ინტერესებს, სხვები ხედავენ, რომ რევიზია წარმოადგენს სასამართლო გადაწყვეტილებების გასაჩივრების საშუალებას და ემსახურება, უპირველეს ყოვლისა, მხარეების ინტერესებს. ავტორი სწორად თვლის მეორე მოსაზრებას.

სასამართლო გადაწყვეტილებების რევიზია ხორციელდება სარევიზიო ინსტანციების სასამართლოების მიერ: გფრ-ს ფედერალური სასამართლოს მიერ (ბავარიაში ბავარიის მიწის უზენაესი სასამართლოს მიერ), რომელიც წარმოადგენს უკანასკნელ სარევიზიო ინსტანციას ამ მიწაზე³⁵.

გასაჩივრებას სარევიზიო წესით ექვემდებარებიან სააპელაციო სასამართლოების (ობერლანგერიხტების) საბოლოო გადაწყვეტილებები სარევიზიო ინსტანციაში საქმის აღძვრისთვის აუცილებელი წინაპირობების დაცვით. პირველ ინსტანციაში გამოტანილი მიწის სასამართლოების გადაწყვეტილებების წინააღმდეგ შეიძლება შეტანილ იქნეს სარევიზიო საჩივარი, სააპელაციო ინსტანციისთვის გვერდის ავლით, ე.წ. „ნახტომისებრი რევიზიის“ წესით. ამისათვის საჭიროა განსაზღვრული მოთხოვნების დაცვა:

³⁴ Давтян, А. Г. (Ани Гамлетовна). Гражданское процессуальное право Германии : Основные институты : Автореферат диссертации на соискание ученой степени доктора юридических наук. - М., 2002, გვ.39

³⁵ Давтян, А. Г. (Ани Гамлетовна). Гражданское процессуальное право Германии : Основные институты : Автореферат диссертации на соискание ученой степени доктора юридических наук. - М., 2002, გვ.40

1) საწინააღმდეგო მხარის თანხმობა, რომლის წერილობითი განცხადება დართული უნდა იყოს სარევიზიო საჩივართან;

2) დავას უნდა გაჩნდეს სარევიზიო სასამართლოსთვის პრინციპული მნიშვნელობა წარმოებაში მის მისაღებად. ცნებას

„საქმის პრინციპული მნიშვნელობა“ საფუძვლად უდევს საკითხი სამართლის შესახებ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საუბარია სამართლებრივი ნორმის არასწორი გამოყენების შესახებ, ან იმ სამართლებრივი ნორმის გამოყენებლობის შესახებ, რომელიც უნდა ყოფილიყო გამოყენებული. სამოქალაქო საქმეს აქვს პრინციპული მნიშვნელობა, თუ გადაწყვეტილება, რომელიც გამოტანილ უნდა იქნეს სარევიზიო სასამართლოს მიერ, ეხება სამართლის საკითხს, რომელიც საჭიროებს მის დაზუსტებასა და განმარტებას სარევიზიო სასამართლოს მიერ, მისი უდიდესი მნიშვნელობისა და საზოგადოებრივ ინტერესებზე (მაგალითად, ეკონომიკაზე) ზემოქმედების გამო. სარევიზიო საჩივრის შეტანის ვადის დაცვა წარმოადგენს შემდეგ წინაპირობას, რომელიც მოიცავს სარევიზიო საჩივრის შეტანის ერთთვიან ვადასა და მისი დასაბუთების ვადას.

სარევიზიო საჩივრის შეტანის ფორმის დაცვა მოიცავს სარევიზიო საჩივრის შეტანას საჭირო რეკვიზიტების მითითებით და სარევიზიო საჩივრის დასაბუთება, რომელიც როგორც საპროცესო დოკუმენტი შესაბამისად უნდა იყო გაფორმებული.

სარევიზიო წარმოება, საფუძვლებიდან გამომდინარე იყოფა რამდენიმე სახედ:

- ა) სარევიზიო წარმოება სარჩელის ფასიდან გამომდინარე;
- ბ) დაშვების რევიზია;

გ) შეზღუდვების გარეშე დაშვებული რევიზია;

დ) რევიზია სარევიზიო საჩივრის აბსოლუტური საფუძვლებით.

სარევიზიო საჩივარი, ისევე, როგორც სააპელაციო საჩივარი შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ:

ა) იმ პირების მიერ, რომლებიც გასასაჩივრებელი გადაწყვეტილების თანახმად, იქცნენ მხარეებად პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის გარჩევისას;

ბ) პირის მიერ, რომლის დაშვება მხარის სახით პირველი ინსტანციის სასამართლოში გაუქმებულ იქნა სასამართლოს მიერ;

გ) პირის მიერ, რომელიც გამოდის თანამონაწილედ სამოქალაქო სამართლებრივ დავაში;

დ) მესამე პირის მიერ კანონით მითითებულ შემთხვევებში.

ამ ინსტანციის სასამართლოს არ აქვს მის მიერ განხილვად საქმეზე ახალი ფაქტების შეგროვების ულება, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სარევიზიო ინსტანციის სასამართლოს არ აქვს ახალი გამოძიების ჩატარების უფლება, ის უნდა შემოიფარგლოს სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს მიერ მისთვის მინოდებული ფაქტებით.

სარევიზიო სასამართლოს შეუძლია შეამონმოს მხოლოდ სარევიზიო საჩივრის თხოვნითი ნაწილი, ე.ი. სარევიზიო საჩივრის შემონ-მების მოცულობა დამოკიდებულია თხოვნით ნაწილში ჩამოყალიბებულ მხარეთა მოთხოვნებზე, ე.ი. გერმანიის სამართალწარმოებაში მოქმედებს დებულება - das Verbot der reformatio in peius. მოსარჩელეს არ შეიძლება მიესაჯოს ის, რაზეც მას არ უთხოვია სარევიზიო სასამართლოსთვის.

აქტუალური რჩება სასამართლო გადაწყვეტილებაში ფაქტის საკითხების გამიჯვნის პრობლემა, რომლებიც არ შეიძლება შემონმებულ იქნენ სარევიზიო წესით და სამართლის საკითხებით, რომლებიც შეიძლება გადახედულ იქნენ სარევიზიო წარმოებაში, რადგან სამართლის საკითხები უშუალოდ ახდენენ გავლენას და მნიშვნელოვან დაკავშირებული საქმეზე ფაქტის საკითხებთან. ფედერალური სასამართლოს განმარტებით, სამართლის საკითხს ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, თუ ის ეხება განმარტებას ამა თუ იმ შემთხვევაში სამართლის ნორმების ან ლოგიკის საყოველთაოდ აღიარებული კანონებისა და გამოცდილი დებულებების გამოყენების შესახებ, ე.ი. სამართლის საკითხის შესახებ საუბარია მაშინ, როდესაც მტკიცების პროცესში სასამართლომ არასწორად გამოიყენა ლოგიკის კანონები ან ცხოვრებისეული გამოცდილება (ცხოვრებისეული დებულებები), რის შედეგადაც არასწორად იქნა გამოყენებული მის მიერ სამართლის შესაბამისი ნორმა.

სარევიზიო ინსტანციის სასამართლოს შეუძლია³⁶:

ა) გააუქმოს საჩივარი, როგორც პრინციპული მნიშვნელობის არმქონე;

ბ) გააუქმოს მინის უზენაესი სასამართლოს სასამართლო გადაწყვეტილება, როგორც დაუსაბუთებელი, გაგზავნის რა მას ქვემდგომ სასამართლოში ახალ განხილვაზე;

გ) კანონით მითითებულ შემთხვევებში სარევიზიო სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება საქმეზე.

³⁶ Давтян, А. Г. (Ани Гамлетовна). Гражданское процессуальное право Германии : Основные институты : Автореферат диссертации на соискание ученой степени доктора юридических наук. - М., 2002, გვ.42

სარევიზიო სასამართლოს თვითონ გამოაქვს გადაწყვეტილება საქმის არსზე, თუ გადაწყვეტილების გაუქმება წარმოებს მხოლოდ განსაზღვრული სასამართლოსთვის შესაბამისი საქმის არაგანსჯადობის ან შესაბამისი საქმის გადაჭრისთვის სასამართლო წესის დარღვევის საფუძველზე; თუ გადაწყვეტილების გაუქმება წარმოებს მხოლოდ კანონის დარღვევის საფუძველზე, რომელსაც ადგილი აქვს საქმის გარემოებებისადმი შესაბამისი კანონის გამოყენებისას და ზოგიერთ სხვა კანონით მითითებულ შემთხვევებში.

საჩივარი წარმოდგენს სასამართლოს განჩინებებისა და განკარგულებების გასაჩივრების საშუალებას. სამოქალაქო პროცესში სასამართლოს სულ უფრო ხშირად გამოაქვს თავისი დადგენილებები გადაწყვეტილებების სახით. ამიტომ საჩივარი, როგორც გასაჩივრების საშუალება, არ ასრულებს აქ განსაკუთრებულად მნიშვნელოვან როლს, ისე, როგორც აღმასრულებელ წარმოებაში. სამოქალაქო პროცესში საჩივარი, როგორც გასაჩივრების საშუალება, გამოიყენება, ძირითადად, სასამართლო ხარჯების განაწილების შესახებ სასამართლოს განჩინებების გასაჩივრებისთვის. განასხვავებენ მარტივ (უვადო) და დაუყოვნებელ (სასწრაფო) საჩივრებს. მარტივი ანუ უვადო საჩივრები დაიშვება პირველი ინსტანციის სასამართლოთა განჩინებების წინააღმდეგ. დაუყოვნებელი (სასწრაფო) საჩივრები დაიშვება მეორე ინსტანციების სასამართლოების განჩინებების წინააღმდეგ. საჩივარი წარმოდგენილია წერილობითი ფორმით, რომელსაც არ უყენებენ რაიმე, კანონით დადგენილ მოთხოვნებს. ძალზე სასწრაფო შემთხვევებში მოქმედებს დებულება “iudex ad quem”, ე.ი. საჩივარი შეიძლება შეტანილ იქნეს ზემდგომ სასამართლოში³⁷. საჩივარი ან

³⁷ Давтян, А. Г. (Ани Гамлетовна). Гражданское процессуальное право Германии : Основные институты : Автореферат диссертации на соискание ученой степени доктора юридических наук. - М., 2002, გვ.43

კერძო საჩივარიგანიხილება იმ სასამართლოს მიერ, რომელმაც გამოიტანა გასასაჩივრებელი განჩინება ან განსაკუთრებით სასაწრაფო შემთხვევებში - ზემდგომი სასამართლოს მიერ. სასამართლოს განჩინებაზე, რომელიც განიხილავს კერძო საჩივარს, შეაქვთ შემდგომი საჩივარი, თუ ეს განსაკუთრებული წესით განისაზღვრება კანონით. შემდგომი საჩივარი დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განჩინება შეიცავს ახალ და დამოუკიდებელ საფუძველს საჩივრისთვის.

კერძო საჩივრის წარდგენისთვის დაიშვება ახალი ფაქტებისა და მტკიცებულებების წარდგენა. განჩინება კერძო საჩივარზე გამოაქვთ ზეპირი გარჩევის გარეშე. იმ შემთხვევებში, როდესაც განჩინება კერძო საჩივარზე არ აკმაყოფილებს მოსაჩივრეს, უკანასკნელმა შეიძლება შეიტანოს საჩივარი ზემდგომ სასამართლოში. ამასთანავე, გურ სსკ ითვალისწინებს ორ წინაპირობას შემდგომი საჩივრის წარმოდგენის დაშვებულობისთვის:

1) განსაზღვრულ შემთხვევაში შემდგომი საჩივრის წარმოდგენის შესაძლებლობა გათვალისწინებულ უნდა იქნეს კანონით;

2) გასასაჩივრებელი განჩინება უნდა შეიცავდეს ახალ და დამოუკიდებელ საფუძველს შემდგომი საჩივრის შესატანად.

აღსანიშნავია, რომ რუსეთისა და სომხეთის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობები ითვალისწინებენ სასამართლო აქტების გადახედვის სხვადასხვა სისტემას.

თუ რუსეთმა აირჩია სააპელაციო წარმოებაზე თანდათანობითი გადასვლის გზა, მაშინ სომხეთში კასაციის ინსტიტუტიდან აპელაციაზე გადასვლა მაშინვე განხორციელდა. სასამართლო მოწყობის შესახებ 1998 წლის კანონისა და სრ სსკ 205-241 მუხლების თანახმად, სომხეთში მოქმედებენ სააპელაციო და საზედამხედველო ინსტანციების სასამართლოები, რომლებიც ახორციელებენ სასამართლო აქტების

გადახედვას.

რუსეთისა და სომხეთის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა თანამდებობის პირთა განსაზღვრული წრეს აძლევს პროტესტის ან საზედამხედველო საჩივრის შეტანის უფლებას.

მართლმსაჯულება უნდა ემსახურებოდეს, პირველ რიგში, მხარეთა ინტერესებს, რადგან სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრება ან გაპროტესტება ეხება მათ უფლება - ვალდებულებებს. ამიტომ შეჯიბრებითობის პრინციპის, აგრეთვე, დისპოზიტიურობის პრინციპის აზრი იმის შესახებ, რომ საქმეზე მთელი სამოქალაქო სამართალწარმოების ღძვრა და მსვლელობა დამოკიდებულია მხარე-ებზე, მდგომარეობს საზედამხედველო ინსტანციის სასამართლოში მხარეებისთვის ამ უფლების მიცემაში, როგორც ამას ადგენს, მაგალითად, გფრ სსკ³⁸. ნათქვამის მნიშვნელოვან არგუმენტს წარმოადგენს, აგრეთვე, მხარეებისთვის მართლმსაჯულების მისაწვდომობის გარემოება შეჯიბრებითობისა და დისპოზიტიურობის პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ეხება უკანასკნელთა მოქმედებებს არა მარტო პირველი, სააპელაციო, საკასაციო, არამედ საზედამხედველო ინსტანციების სასამართლოებში. ამ მიზნით, ავტორი გვთავაზობს იმ სუბიექტთა წრის გაფართოებას, რომლებსაც აქვთ საზედამხედველო საჩივრის ან პროტესტის შეტანის უფლება, აძლევს რა ამ უფლებას, აგრეთვე, საქმეში მონაწილე პირებს.

ავტორის აზრით³⁹, სასამართლო დადგენილებების გასაჩივრების ინსტიტუტის სრულყოფას, მაგალითად

³⁸ Давтян, А. Г. (Ани Гамлетовна). Гражданское процессуальное право Германии : Основные институты : Автореферат диссертации на соискание ученой степени доктора юридических наук. - М., 2002, გვ.44

³⁹ Давтян, А. Г. (Ани Гамлетовна). Гражданское процессуальное право Германии : Основные институты : Автореферат диссертации на соискание ученой степени доктора юридических наук. - М., 2002, გვ.44

სომხეთში, შეიძლება ემსახურებოდეს ნოველები იმ ახალი გადაწყვეტილების გამოტანის საკანონმდებლო აკრძალვის შემოღების თაობაზე, რომელიც აუარესებს საჩივრის გამცხადებლის მდგომარეობას იმ გადაწყვეტილებასთან მიმართებაში, რომელიც მან გაასაჩივრა, აგრეთვე, „გერმანული ნიმუშით“ შეგებებული აპელაციის ინსტიტუტის შემოღების თაობაზე. ასაჩივრებს რა სასამართლო გადაწყვეტილებას, მაგალითად, სომხეთის სამოქალაქო პროცესში მხარე არ გააჩნია არანაირი გარანტია იმისა, რომ ახალი გადაწყვეტილება არ გააურასებს მის მდგომარეობას „საწყისთან“ შდარებით. ამიტომ იმ ახალი დადგენილების საკანონმდებლო აკრძალვის შემოღება, რომელიც აუარესებს საჩივრის გამცხადებლის მდგომარეობას იმ გადაწყვეტილებასთან მიმართებაში, რომელიც მან გაასაჩივრა, მოემსახურება სამოქალაქო პროცესში მხარეთა უფლებების დაცვის გარანტიების უზრუნველყოფას, აგრეთვე, მათ „დაცვას“ საშიშროებისაგან აღმოჩნდეს უარეს მდგომარეობაში, საწყისთან შედარებით.

სააპელაციო წარმოებაში შეჭიბრებითობის პრინციპის რეალიზაცია ნიშნავს, რომ საწინააღმდეგო მხარეს უნდა ჰქონდეს თავის სასარგებლოდ სასამართლო გადაწყვეტილების შეცვლის ერთნაირი შესაძლებლობა. ასეთი შესაძლებლობა მიეცემა მხარეს სომხეთის სამოქალაქო პროცესში შეგებებული აპელაციის ინსტიტუტის შემოღების შემთხვევაში.

ამასთან დაკავშირებით, გათავაზობთ იმ ნოველების გათვალისწინებას, რომლებიც ამტკიცებენ შეგებებული აპელაციის ინსტიტუტს, კერძოდ, შეგებებული აპელაციის სახეების - დამოუკიდებელი და შეგებებული არადამოუკიდებელი აპელაციის შესახებ ცნებებით განსაზღვრით, გვრ სსკ - თი გათვალისწინებული წესების ანალოგიურად.

ავტორის აზრით⁴⁰, ზემოთ აღწერილი ახალშემონაღებები მოემსახურებიან სასამართლო დადგენილებების გასაჩივრების ინსტიტუტის სრულყოფას, სამოქალაქო პროცესში დაინტერესებულ პირთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფას.

თავი 2. სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

2.1. სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის წინაპირობები

პირველი საპროცესო მოქმედება, რომელიც სააპელაციო

⁴⁰ Давтян, А. Г. (Ани Гамлетовна). Гражданское процессуальное право Германии : Основные институты : Автореферат диссертации на соискание ученой степени доктора юридических наук. - М., 2002, გვ.45

სასამართლომ უნდა შეასრულოს სააპელაციო საჩივრის მიღების შემდეგ - ესაა ამ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმება.

სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის წინაპირობებს, რომელთა არსებობის შემთხვევაში სააპელაციო საჩივარი შეიძლება მიღებულ იქნეს წარმოებაში. აქედან გამომდინარე სააპელაციო სასამართლო ვალდებულია შეამოწმოს ეს წინაპირობები, კერძოდ:

დაცულია თუ არა სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა (სსკ 369-ე მუხლი). პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოები, როგორც წესი, საქმეებს განიხილავენ სასარჩელო განცხადების მიღების დღიდან არა უგვიანეს 2 თვისა, ხოლო განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებზე განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 5 თვემდე. გამონაკლისია ალიმენტის გადახდევინების, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით, აგრეთვე მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების, შრომითი ურთიერთობებიდან და „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე მოთხოვნის შესახებ საქმეები, რომლებიც განხილულ უნდა იქნეს არა უგვიანეს 1 თვის ვადაში. გასათვალისწინებელია ის

გარემოება, რომ საქმის განხილვის ვადა უშუალოდ საქმის განხილვასთან ერთად ასევე მოიცავს სხვადასხვა პროცედურებს, რომელთა განხორციელებას გარკვეული დრო სჭირდება. კერძოდ, როდესაც სარჩელი არ არის სრულყოფილი, სასამართლო ადგენს ხარვეზს და განჩინებას უგზავნის მოსარჩელეს, ამავდროულად ხარვეზის შესავსებად შესაბამის ვადას უდგენს, რომელიც აითვლება მხარისათვის განჩინების ჩაბარების დღიდან. განჩინების ჩაბარება კი გარკვეულ დროს მოითხოვს. სარჩელის წარმოებაში

მიღების შემდეგ სასამართლო სარჩელის ასლს უგზავნის მოპასუხეს და უნიშნავს შესაგებლის წარდგენისთვის შესაბამის ვადას, ხოლო შესაგებლის წარდგენის შემდეგ მისი ასლი ეგზავნება მოსარჩელეს. საკმაოდ მნიშვნელოვანი დრო ეთმობა სასამართლო უწყებების ჩაბარებას, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც ჩაბარება ვერ ხერხდება არაზუსტი მისამართის ან სხვა მიზეზის გამო და სასამართლო იძულებულია, უწყება გაგზავნოს არაერთხელ. ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი (შემდეგში–სსკ) ითვალისწინებს საქმის განხილვის გადადების შესაძლებლობას შეგებებული სარჩელის დაგვიანებით წარდგენისას ან სხვა საფუძვლით. მითითებული საპროცესო მოქმედებები მნიშვნელოვან დროს მოითხოვს და ზოგჯერ საქმის განხილვის ვადის უმეტეს ნაწილსაც კი იკავებს, რის შედეგადაც საქმის არსებითად განხილვისთვის საკმაოდ მცირე ვადა რჩება, თუმცა სასამართლომ უნდა მიიღოს კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა, რათა პროცესი არ გაჭიანურდეს და საქმის განხილვა მოხდეს კანონით დადგენილ ვადებში.

ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისთვის დასაბუთებული გადანყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადა-წყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასა-ბუთებული გადანყვეტილების ასლის მხარისთვის ჩაბარება. თუ დასაბუთ-ბული გადანყვეტილების გამოცხადებას ესწრება სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა იწყება მისი გამოცხადების მომენტიდან.

გადანყვეტილების გადაცემის მომენტად უნდა მივიჩნიოთ მხარისათვის ხელზე გადანყვეტილების დამონმებული ასლის მიცემა უშუალოდ სასამართლოში, რაც მან უნდა დაადასტუროს თავის ხელმოწერით გადანყვეტილების დედანზე, ან მისი მხარისათვის გადაგზავნის დრო. გადაგზავნის დროდ მიჩნეული უნდა იქნეს დრო, როდესაც გადანყვეტილების

ასლი 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით ჩაბარდა ფოსტას ან კურიერს, რაც აღინიშნება კონვერტზე, რომელშიც გადან-ყვეტილების ასლია ჩადებული. საქმეში აუცილებლად უნდა იყოს ცნობა, რომ ამ წესით გაგზავნილი გადანყვეტილების ასლი ჩაბარდა ადრესატს.

სამოქალაქო საპროცესო

კოდექსის 186-ე მუხლი სარჩელის უფლების წინაპირობებისა და სარჩელის წარდგენის პირობების ჩამონათვალს შეიცავს. იმისთვის, რომ სასამართლომ განცხადება მიიღოს საქმე სასამართლოს უწყებრივად უნდა ექვემდებარებოდეს. ზოგიერთი კატეგორიის საქმეზე თვალნათელია, რომ საქმე სასამართლო განხილვის საგანია (მაგალითად, მეუღლეების განქორწინებისას, როცა მათ შორის არის დავა), მაგრამ ზოგიერთ დავაზე მოსარჩელე (განმცხადებელი) ვალდებულია, დავის სასამართლოსადმი უწყებრივი ქვემდებარეობა ან სასამართლოსადმი დავის განსჯადობა დაასაბუთოს⁴¹.

მტკიცების ფორმა ასეთ შემთხვევაში განსხვავდება სასარჩელო მოთხოვნის ან შესაგებლის დასაბუთებისგან. თუ, მაგალითად, მოსარჩელე, თავისი უფლების დასაბუთებისას დაწვრილებით გადმოსცემს ფაქტებს და მტკიცებულებებს განცხადების (სარჩელის) აღწერილობით და სამოტივაციო ნაწილში, უწყებრივი ქვემდებარეობის ან განსჯადობის საკითხი ასეთივე დაწვრილებით არგუმენტაციას არ მოითხოვს. მაგრამ სასარჩელო განცხადებიდან ნათელი უნდა იყოს, რომ ეს დავა უწყებრივად სასამართლოს ექვემდებარება და სხვა ორგანოს კომპეტენციაში არ შედის. ამისთვის საკმარისია, მკაფიოდ განისაზღვროს სადავო სამართლებრივი ურთიერთობის ხასიათი და ამ ურთიერთობის სუბიექტური შემადგენლობა. იმის განსაზღვრა, თუ რა ხასიათისა და შინაარსის სამართალურთიერთობაა დავის საგანი, განსაკუთრებულ აქტუალობას და

⁴¹ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, თბილისი, 1997წ. (ცვლილებებითა და დამატებებით) /www.matsne.gov.ge/ უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 10.07.2016წ.

მნიშვნელობას იძენს მაშინ, როდესაც ამ ურთიერთობის მხარეებს შორის დავა (საქმე) გადანაცვებულია კანონიერ ძალაში შესული სასამართლო აქტით. მაგალითად, მოსარჩელემ ადრე მიმართა სასამართლოს სარჩელით, მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ, მაგრამ თავის დროზე სარჩელი მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე არ ჰქონია აღძრული. ამიტომ, მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ ახალი სარჩელის შეტანისას, სასარჩელო განცხადებაში საკმარისია მიეთითოს ადრე გამოტანილ გადანაცვებებზე, რომლითაც დადგენილია ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობა. შესაბამისად, მოსამართლისთვის გასაგებია, რომ სასარჩელო განცხადების მიღებაზე უარის თქმის საფუძველი არ არსებობს (იგულისხმება სსსკ-ის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „ ბ “ პუნქტი), რადგან სახეზე არ არის სარჩელის იგივეობა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის შესაბამისად⁴², მოსამართლე ვალდებულია, სასარჩელო განცხადების მიღებაზე უარი თქვას, თუ ის სასამართლოს უწყებრივად არ ექვემდებარება. სასამართლოებს მხოლოდ იმ საქმეების გადანაცვება შეუძლია, რომლებიც კანონით მათ გამგებლობას განეკუთვნება (უწყებრივად ექვემდებარება). მაგრამ კანონში სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოს შორის უწყებრივი ქვემდებარეობის ამომწურავად გამიჯვნა და განსაზღვრა, ზღვარის დადება შეუძლებელია, ამიტომაც უწყებრივი ქვემდებარეობის განსაზღვრა, გამიჯვნა ზოგადი წესის მეშვეობით უნდა მოვახდინოთ. კერძოდ, ეს არის: სადავო სამართლებრივი ურთიერთობის ხასიათი და დავის მონაწილეთა სუბიექტური შემადგენლობა. ზოგი პროცესუალისტი მიიჩნევს, რომ უწყებრივი ქვემდებარეობის განსაზღვრის ზოგად წესს ასევე უნდა მიეკუთვნებოდეს უფლების სადავოობა ან უდავოობა, რაც საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ საქმეთა უწყებრივი

⁴² საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, თბილისი, 1997წ. (ცვლილებებითა და დამატებებით) /www.matsne.gov.ge/ უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 10.07.2016წ.

ქვემდებარეობა სასამართლოებისადმი და ნოტარიუსების, ასევე სამოქალაქო რეესტრის ორგანოსადმი; მხარეებს შორის ხელშეკრულების არსებობა, რაც საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ სასამართლო ხელისუფლებასა და კერძო არბიტრაჟებს შორის უწყებრივი ქვემდებარეობა.

დავის განმსაზღვრელ ორგანოებს შორის კომპეტენციის გამიჯვნის ყველაზე ზოგადი წესი მდგომარეობს იმაში, რომ იურიდიული საქმეები, რომლებიც სხვა ორგანოებს არ ექვემდებარება უწყებრივად, საერთო იურისდიქციის სასამართლოს ქვემდებარეა უწყებრივად. ბოლო პერიოდში ყველაზე მეტი შეკითხვა ჩნდება იმ საქმეთა უწყებრივი ქვემდებარეობის განსაზღვრისას, რომლებიც საერთო იურისდიქციის სასამართლოებსა და კერძო არბიტრაჟებს ექვემდებარება. არბიტრაჟის კანონის 1-ლი მუხლის თანახმად არბიტრაჟი განიხილავს პირთა თანასწორობაზე დამყარებულ კერძო ხასიათის მხოლოდ ქონებრივ დავებს ანუ მას ექვემდებარება ქონებრივი დავა თუ მხარეთა შორის არსებობს შესაბამისი წერილობითი შეთანხმება. ამგვარი შეთანხმება შეიძლება იყოს რომელიმე ხელშეკრულების ერთ-ერთ პუნქტშიც ასახული ან შედგეს ცალკე. ბოლო დროს სასამართლოები არბიტრაჟის გადანაცვებულთა ცნობისა და აღსრულების საკითხის განხილვისას მოითხოვენ, რომ ამგვარი შეთანხმება უნდა ითვალისწინებდეს სახელდებით კონკრეტულ არბიტრაჟში ქონებრივი დავის განხილვას. ანუ იმისთვის, რომ დავა ექვემდებარებოდეს არბიტრაჟს და არა საერთო იურისდიქციის სასამართლოს, საჭიროა სამი პირობის დაცვა. პირველი - დავას უნდა ჰქონდეს ქონებრივი ხასიათი. მეორე - საარბიტრაჟო შეთანხმება უნდა იყოს წერილობით გაფორმებული. მესამე-საარბიტრაჟო შეთანხმება უნდა ითვალისწინებდეს ქონებრივი დავის კონკრეტულ არბიტრაჟში განხილვას. დავის სუბიექტი შეიძლება იყოს იურიდიული პირი ან ფიზიკური პირი. თუკი საერთო იურისდიქციის სასამართლომ შეცდომით მიიღო სასარჩელო განცხადება მოპასუხეს შეუძლია შეიტანოს საპროცესო

შესაგებელი და საქმის შეწყვეტა მოითხოვოს.

ამგვარად, მხარე, რომელმაც დავის სასამართლოსადმი უწყებრივი ქვემდებარეობა სწორად განსაზღვრა, დროულად იზრუნა სარჩელისა და მტკიცებულებების უზრუნველყოფაზე, ისარგებლა სასამართლო ხარჯების გადახდის, გადადების ან ოდენობის შემცირების, მტკიცებულებების გამოთხოვის, სასამართლო ექსპერტიზის დანიშვნისათვის და ა.შ. შესახებ შუამდგომლობების აღძვრის უფლებით, თავს დროის უსარგებლო ხარჯვის, საქმის გაჭიანურების, ზედმეტი ხარჯებისგან იზღვევს და პირიქით, როცა მხარე მტკიცების მოვალეობას გულგრილად, დაუღვერად ეკიდება, დიდი ალბათობაა, რომ წააგებს პროცესს⁴³.

ბ) პასუხობს თუ არა სააპელაციო საჩივრის შინაარსი კანონის მოთხოვნებს (სსკ 308-ე მუხლი).

სააპელაციო სასამართლოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ სააპელაციო საჩივრის შინაარსს მთლიანად და კერძოდ მის იმ ნაწილს, რომელშიც უნდა აისახოს, თუ რაში მდგომარეობს აპელანტის აზრით, გადაწყვეტილების უსწორობა, რას მოითხოვს იგი, გარემოებები, რომლებიც ასაბუთებენ სააპელაციო საჩივარს და მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ ამ გარემოებებს.

იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო საჩივარი არ პასუხობს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, სააპელაციო სასამართლომ უნდა დაავალოს აპელანტს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს მას ვადას, თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, საჩივარი აღარ მიიღება და სააპელაციო სასამართლო გამოიტანს განჩინებას მისი განუხილველად დატოვების შესახებ.

გ) შეესაბამება თუ არა სააპელაციო საჩივრის ღირებულება კანონით გათვალისწინებულ ოდენობას (სსკ 365-ე მუხლი).

⁴³ თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი. II გამოცემა თბ. 2005 გვ.336

სააპელაციო საჩივარი დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი ღირებულება აღემატება 500 ლარს. მხედველობაშია მხოლოდ ქონებრივ სამართლებრივი დავები, რაც შეეხება არაქონებრივ დავებს, ნებისმიერ გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო წესით, მიუხედავად იმისა, რა ოდენობით იყო განსაზღვრული არაქონებ-რივი დავის საგნის ღირებულება. იგივე უნდა ითქვას უდავო წარმოების წესით განხილულ საქმეებზე გამოტანილ გადაწყვეტილებებზე.

სააპელაციო საჩივრის ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს მხარეს საჩივარი.

მაგალითად: ბ-ნიმ, რომლის წინააღმდეგაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება და რომლითაც მას დაეკისრა 2000 ლარის გადახდა, გასაჩივრა გადაწყვეტილება მხოლოდ ნაწილობრივ, კერძოდ იმ ნაწილში, რომლითაც მას დაეკისრა 700 ლარის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ. ამ შემთხვევაში სააპელაციო საჩივრის ფასი შეადგენს 700 ლარს (და არა 2000 ლარს). სახელმწიფო ბაუის ოდენობაც ამ 700 ლარიდან უნდა იქნეს გაანგარიშებული⁴⁴.

დ) არის თუ არა გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება (სსკ 366-ე მუხლი).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პირველი დაუსწრებელი გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მის გამომტან სასამართლოში. მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება - ეს ისეთი გადაწყვეტილებაა, რომელიც გამოტანილია იმ მხარის დაუსწრებლობის გამო, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია პირველი დაუსწრებელი

⁴⁴ თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი. II გამოცემა თბ. 2005 გვ.337

გადაწყვეტილება.

ე) აქვს თუ არა საჩივრის შემომტან წარმომადგენელს გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების უფლებამოსილება (სსკ 368-ე მუხლის მე-4 ნაწილი).

სააპელაციო საჩივრის შემომტანი პირი შეიძლება იყოს მხარის წარმომადგენელი, მაგრამ ეს არ კმარა. გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრებისათვის მას უნდა ჰქონდეს მინიჭებული უფლება და ამის შესახებ სპეცილურად უნდა იყოს აღნიშნული მარწმუნებლის მიერ გაცემულ მინდობილობაში.

ვ) გადახდილია თუ არა სახელმწიფო ბაჟი (სსკ 368-ე მუხლის მე-5 პუნქტი). სახელმწიფო ბაჟი მხარეს შეაქვს წინასწარ, ამიტომ, თუ ბაჟი არაა გადახდილი აპელანტის მიერ, მაშინ სააპელაციო სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომლითაც უნიშნავს ვადას აპელანტს შეავსოს ხარვეზი, კერძოდ, ამ შემთხვევაში, გადაიხადოს ბაჟი. თუ ხარვეზი არ იქნება შევსებული, ე.ი. არ იქნება ბაჟი გადახდილი, სააპელაციო სასამართლო გამოიტანს განჩინებას სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ მისი დაუშვებლობის გამო. კანონი

სახელმწიფო ბაჟის საკმაოდ მაღალ განაკვეთებს აწესებს. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ ალიკვეთოს სასამართლოში აშკარად დაუსაბუთებელი სარჩელების აღძვრა. პროცესში მხარეთა თანასწორობის შენარჩუნების და უფლების სასამართლო წესით დაცვის ხელმისაწვდომობის მიზნით არსებობს განსაზღვრული შეღავათები იმ პირთათვის, რომელთა მატერიალური მდგომარეობა მათ სახელმწიფო ბაჟის გადახდის საშუალებას არ აძლევს. მაგრამ ამ შეღავათის მიღებისთვის შესაბამისი მატერიალური მდგომარეობის არსებობის დამტკიცებაა აუცილებელი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლი სასამართლო ხარჯების გადახდის გადავადების და მათი ოდენობის შემცირების

შესაძლებლობას ითვალისწინებს⁴⁵. ამ მუხლის თანახმად, პროცესში მონაწილე მხარეებს აქვთ უფლება მიმართონ განცხადებით სასამართლოს სასამართლო ხარჯების გადახდის გადავადების და მათი ოდენობის შემცირების შესახებ. განცხადების შეტანა შესაძლებელია პროცესის ყველა სტადიაზე. განცხადებაში უნდა მიეთითოს გარემოებები, რომლებიც ადასტურებს მოთხოვნის საფუძვლიანობას და წარდგენილი უნდა იქნეს უტყუარი მტკიცებულებები (მაგალითად, მოსარჩელე მიუთითებს, რომ დიდი ხანია უმუშევარია და თავის კმაყოფაზე ჰყავს შვილები). განცხადებას თან უნდა ერთვოდეს მითითებული გარემოებების დამამტკიცებელი დოკუმენტები. 48-ე მუხლი საუბრობს „უტყუარი მტკიცებულებების“ წარდგენის აუცილებლობაზე. მხარე,

რომელიც სასამართლოს ხარჯების გადახდის გადავადების და მათი ოდენობის შემცირების შუამდგომლობით მიმართავს, ვალდებულია, დაამტკიცოს მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის აუცილებელი შესაბამისი საფუძვლის (გარემოებების) არსებობა. მტკიცებულებად შეიძლება გამოყენებული იქნეს ცნობა ხელფასის ან პენსიის ოდენობის შესახებ, ადგილობრივი ორგანოების ცნობა ოჯახის შემადგენლობის შესახებ, ცნობები მოსახლეობის დასაქმების ორგანოდან და ა.შ. სასამართლო ან მოსამართლე განიხილავს შეტანილ განცხადებას, რის შემდეგაც იღებს განჩინებას სასამართლო ხარჯების გადახდის გადავადების ან მათი ოდენობის შემცირების შესახებ.

ამასთან, გადავადებაში იგულისხმება ბაჟის სრული მოცულობით გადახდის ვადის გადატანა უფრო გვიანი დროისათვის, ანუ ამისათვის უფრო გვიანი დროის განსაზრვრა ვიდრე ეს კანონითაა გათვალისწინებული და დადგენილი. ხოლო შემცირებაში - სასამართლო ხარჯების შემცირებული

⁴⁵ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, თბილისი, 1997წ. (ცვლილებებითა და დამატებებით) /www.matsne.gov.ge/ უკანასკნელად გამომოწმებულ იქნა 10.07.2016წ.

ოდენობით გადახდის უფლება. სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდის გადავადების და მათი ოდენობის შემცირების შესახებ საკითხის გადაწყვეტისას, (ასევე სასამართლო ხარჯების გადახდისგან გათავისუფლების შესახებ განცხადებების განხილვისას), საჭიროა, სასამართლო საკითხს ინდივიდუალურად მიუდგეს. კერძოდ, მართალია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლი შესაძლებლად მიიჩნევს, რომ დასაშვებია ერთი ან ორივე მხარისთვის სახელმწიფოს სასარგებლოდ ამოსაღები სასამართლო ხარჯების გადახდის გადავადება ან მათი ოდენობის შემცირება, მაგრამ ეს ნორმა მოითხოვს, რომ ასეთ დროს მხარეთა მატერიალური მდგომარეობა იქნეს გათვალისწინებული და ისე გადაწყდეს საკითხი. ამდენად, თითოეული მხარის მატერიალური მდგომარეობის განსაზღვრას სასამართლო ინდივიდუალურად ახდენს.

ამასთან, სასამართლოს უფლება, დაადგინოს ხარჯების გადახდის გადავადება ან შეამციროს მათი ოდენობა, არ არის შეზღუდული და შემოფარგლული მხოლოდ ფიზიკური პირებით, არამედ 48-ე მუხლი მხარეში ორგანიზაციასაც გულისხმობს. ფიზიკური პირებისათვის 48-ე მუხლის გამოყენების საფუძველია ზემოთ მითითებული მტკიცებულებები. ორგანიზაციათათვის ეს შეიძლება იყოს გადახდისუუნარობა მოპასუხის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის გამო საგადასახადო დავალიანების წარმოქმნა და სხვა.

8) უარი ხომ არ აქვს ნათქვამი აპელანტს სააპელაციო გასაჩივრებაზე კანონით დადგენილი წესით. (სსკ 370-ე მუხლი).

სააპელაციო გასაჩივრებაზე უარისთქმა მხარის უფლებაა. ამ უფლების რეალიზაციას უკავშირდება გარკვეული იურიდიული შედეგი, კერძოდ მხარე, რომელმაც ასეთი უარი განაცხადა, კარგავს უფლებას გაასაჩივროს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით.

გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრებაზე უარისთქმა უნდა

განვასხვავოთ სააპელაციო საჩივარზე უარისთქმისაგან (სსკ 378-ე მუხლი). სააპელაციო საჩივარზე უარისთქმა ნიშნავს იმას, რომ აპელანტი უარს ამბობს მის მიერ უკვე შემოტანილ სააპელაციო საჩივარზე, რასაც უკავშირდება სხვა შედეგი, კერძოდ, სააპელაციო სასამართლოს ასეთ შემთხვევაში გამოაქვს “განჩინება სააპელაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ”. ასეთია სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის წინაპირობები. თუ

დასაშვებობის ამ წინაპირობების შემონმებისას აღმოჩნდება, რომ არ არსებობს რომელიმე მათგანი, სააპელაციო სასამართლოს გამოაქვს განჩინება ხარვეზის შევსების შესახებ, თუ ეს ხარვეზი თავისი ხასიათით და შინაარსით ისეთია, რომ მისი შევსება შესაძლებელია და დაუნიშნავს აპელანტს ვადას ხარვეზის შესავსებად.

მაგალითად: ა-ნიმ შემოიტანა სააპელაციო საჩივარი სააპელაციო გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე, ამ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემონმებისას აღმოჩნდა, რომ იგი არ არის შედგენილი კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, კერძოდ არ არის მასში მითითებული თუ რას მოითხოვს აპელანტი, აგრეთვე არ არის გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, სააპელაციო სასამართლომ გამოიტანა “განჩინება სააპელაციო საჩივრის ხარვეზის შევსების შესახებ”⁴⁶. თუ

ამ განჩინებით დანიშნულ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოიტანოს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ მისი დაუშვებლობის გამო. იმ

შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს დასაშვებობის ისეთი პირობა, რომელიც თავისი ხასიათითა და შინაარსით არაა გამოსწორებადი და ვადის დანიშვნა ხარვეზის გამოსწორებისათვის სრულიად გაუმართლე-ბელია, მაშინ სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის მიღებაზე და

⁴⁶ თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო პროცესუალური სამართალი. II გამოცემა თბ. 2005 გვ.337

განხილვაზე უარის თქმის შესახებ.

მაგალითად: ა-ნიმ შემოიტანა სააპელაციო საჩივარი, რომლის დასაშვებობის შემონშებისას აღმოჩნდა, რომ იგი შემოტანილია სასამართლო გადაწყვეტილებათა სააპელაციო წესით გასაჩივრების ვადის დარღვევით, ან კიდევ, გასაჩივრებულია პირველი დაუსწრებელი გადაწყვეტილება; ამ ხარვეზების გამოსწორება შეუძლებელია, რადგან გასაჩივრების ვადის გაგრძელებას კანონი არ ითვალისწინებს, სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოიტანოს `განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ მისი დაუშვებლობის გამო“.

იმ შემთხვევაში, როდესაც სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის წინაპირობების შემონშებისას აღმოჩნდება, რომ ყველა ეს წინაპირობა არსებობს, სააპელაციო სასამართლო გამოიტანს `განჩინებას სააპელაციო საჩივრის მიღებისა და მისი განსახილველად მომზადების შესახებ` (სსკ 375-ე მუხლის პირველი პუნქტი).

ასეთი განჩინების მიღებას უკავშირდება გარკვეული შედეგები:

პირველი - შეჩერდება (ავტომატურად) გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა. ამასთან, თუ გადაწყვეტილება გასაჩივრებული იყო მხოლოდ ნაწილობრივ, მაშინ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა შეჩერდება მხოლოდ იმ ნაწილში, რომელშიც იგი იყო გასაჩივრებული. განჩინებაში იმის ჩანერა, რომ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა შეჩერდეს, არაა აუცილებელი, რადგან გასაჩივრებული გადაწყვეტილების (ან მისი ნაწილის) კანონიერ ძალაში შესვლა ჩერდება არა სასამართლოს განჩინების ძალით, არამედ კანონის ძალით (სსკ 264-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი⁴⁷).

მეორე - თუ სააპელაციო საჩივარი შეტანილია ისეთ

⁴⁷ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, თბილისი, 1997წ. (ცვლილებებითა და დამატებებით) /www.matsne.gov.ge/ უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა 10.07.2016წ.

გადაწყვეტილებაზე, რომლის მიმართ გამოტანილია განჩინება კანონიერ ძალაში შესვლამდე მისი დაუყოვნებლივ აღსრულების შესახებ, მაშინ სააპელაციო სასამართლოს, აპელანტის შუამდგომლობით, შეუძლია გამოიტანოს განჩინება გასაჩივრებული გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების დროებით შეჩერებისა და აღსრულების ღონისძიებების გაუქმების შესახებ. ასეთი განჩინების მიღება სააპელაციო სასამართლოს მიერ აუცილებელია, რადგან სააპელაციო საჩივრის შეტანა ავტომატურად ვერ შეაჩერებს დაუყოვნებლივ აღსრულების შესახებ ადრე გამოტანილი გადაწყვეტილების (განჩინების მოქმედებას).

მესამე - სააპელაციო სასამართლო ნიშნავს საქმის ზეპირი განხილვის დროს, რის შესახებაც ატყობინებს მხარეებს და იწყებს სააპელაციო საჩივრის განსახილველად მომზადებას (სსკ 376-ე მუხლი).

სააპელაციო საჩივრის განსახილველად მომზადება სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების შესაბამისად, რომლებიც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის. ეს იმას ნიშნავს, რომ სააპელაციო საჩივრისა და დამატებით შემოსული ყველა წერილობითი მასალის ასლებს, სააპელაციო სასამართლო გადაუგზავნის მონინალმდევე მხარეს (სსკ 201-ე და 373-ე მუხლები), დაუნიშნავს მას ვადას წერილობით შეადგინოს პასუხი სააპელაციო საჩივარში დასმულ საკითხებზე, კერძოდ ეთანხმება თუ არა საჩივრის მოთხოვნებს, ხოლო თუ არ ეთანხმება რა კონკრეტულ გარემოებებს ემყარება, ხომ არ აპირებს შეგვებულ სააპელაციო საჩივრის წარდგენას და ა.შ.⁴⁸. საქმის მომზადების მიზნით სააპელაციო სასამართლოს შეუძლია შეასრულოს კანონით გათვალისწინებული სხვა ზომები, რათა სააპელაციო საჩივარი განხილულ

⁴⁸ თ. ლილუაშვილი, ვ. ხრუსტალი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი თბ. 2007 pdf-<https://ru.scribd.com/doc/268983104/151/dauswrebeli-gadawyvetileba> (გადამოწმებულია 11.02.2016)

იქნეს დროულად.

2.2. შეგებებული სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება აქვთ მხარეებს და მესამე პირებს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით. ეს იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია სასამართლო გადაწყვეტილება, შეუძლია სააპელაციო წესით გაასაჩივროს იგი მთლიანად ან ნაწილობრივ. აქედან გამომდინარე შეიძლება აღმოჩნდეს, რომ სასამართლო გადაწყვეტილებაზე შემოტანილია მოსარჩელის საჩივარი, იმ ნაწილზე, რომელიც მის წინააღმდეგაა გამოტანილი და მოპასუხის საჩივარი, გადაწყვეტილების იმ ნაწილზე, რომელიც მის წინააღმდეგაა გამოტანილი. ეს ორი, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სააპელაციო საჩივრებია და ისინი უნდა განიხილოს სააპელაციო სასამართლომ ასევე

ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად. ეს იმას ნიშნავს, რომ ერთ-ერთი აპელანტის მიერ თავის სააპელაციო საჩივარზე უარისთქმა ან მისი უკან გამოთხოვა გავლენას ვერ მოახდენს მეორე აპელანტის სააპელაციო საჩივრის განხილვაზე და გადაწყვეტაზე, ან კიდევ, ერთი სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარისთქმა გავლენას ვერ მოახდენს მეორე სააპელაციო საჩივრის ბედზე⁴⁹. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს სააპელაციო საჩივრების ერთმანეთისადმი ნამდვილ დამოუკი-დებლობასთან საპროცესო სამართლებრივი თვალსაზრისით. რას წარმოადგენს შეგებებული სააპელაციო საჩივარი? შეგებებული სააპელაციო საჩივარი ესაა ძირითადი სააპელაციო საჩივრის გამო და მის წინააღმდეგ მიმართული საჩივარი, რომლის მიზანია ამ ძირითადი სააპელაციო საჩივრის პარალიზება და გადაწყვეტილების გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც დაკმაყოფილდა აპელანტის მოთხოვნა.

ამრიგად, შეგებებული საჩივრით მხარე ცდილობს ორ მიზანს მიაღწიოს: ერთი - გაუქმდეს გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ნაწილობრივ დაკმაყოფილდა აპელანტის მოთხოვნა და მეორე - უცვლელად დარჩეს გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც უარი ეთქვა აპელანტს მოთხოვნის ნაწილობრივ დაკმაყოფილებაზე.

მაგალითად: ა-ნიმ აღძრა სარჩელი ბ-ანის წინააღმდეგ და მოითხოვა მისგან 5000 ლარი მიყენებული ზიანის ანაზღაურებისათვის.

სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი ნაწილობრივ და დააკისრა მოპასუხე ბ-ანის 3000 ლარის გადახდევინება მოსარჩელის სასარგებლოდ, ხოლო 2 000 ლარის გადახდევინებაზე უარი უთხრა.

⁴⁹თ. ლილუაშვილი, ვ. ხრუსტალი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი თბ. 2007 pdf-<https://ru.scribd.com/doc/268983104/151/dauswrebeli-gadawyvetileba> (გადამონწმეულია 11.02.2016)

ა-ნიმ შეიტანა სააპელაციო საჩივარი გადაწყვეტილების იმ ნაწილზე, რომლითაც მას უარი ეთქვა 2 000 ლარის გადახდევინებაზე.

ბ-ანიმ იმის გამო, რომ ა-ნიმ შეიტანა სააპელაციო საჩივარი, თავის მხრივ, შეიტანა შეგვებულ სააპელაციო საჩივარი გადაწყვეტილების იმ ნაწილზე, რომლითაც დაკმაყოფილდა მოსარჩელის მოთხოვნა 3 000 ლარზე და მოითხოვა გადაწყვეტილების ამ ნაწილში გაუქმება.

სააპელაციო სასამართლომ უნდა განიხილოს და მიიღოს ერთიანი გადაწყვეტილება ორივე ამ ძირითად და შეგვებულ სააპელაციო საჩივარზე. იმის მიხედვით, თუ რომელ სააპელაციო საჩივარს (ძირითადს თუ შეგვებულს) ცნობს დასაბუთებულად სააპელაციო სასამართლომ შეუძლია გამოიტანოს თავისი გადაწყვეტილება (განჩინება) იმის შესახებ, რომ:

ა) უარი ეთქვას მხარეებს როგორც ძირითადი, ისე შეგვებული სააპელაციო საჩივრების დაკმაყოფილებაზე, ხოლო გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად, ან

ბ) დაკმაყოფილდეს ძირითადი სააპელაციო საჩივარი, ხოლო შეგვებულ სააპელაციო საჩივარზე უარი ეთქვას, ან პირიქით, დაკმაყოფილდეს შეგვებული საჩივარი, ხოლო ძირითად სააპელაციო საჩივარზე უარი ეთქვას.

ნაკლებ სავარაუდოა ორივე საჩივრის ერთდროულად დაკმაყოფილება, მართლაც ძნელი წარმოსადგენია გამოვაცხადოთ გადაწყვეტილება უსწოროდ იმ ნაწილში, რომლითაც უარი ეთქვა მოსარჩელეს სარჩელზე და იმ ნაწილშიც, რომლითაც ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მისი სარჩელი⁵⁰.

შეგვებულ სააპელაციო საჩივარი არის სააპელაციო საჩივარი

⁵⁰ თ. ლილუაშვილი, ვ. ხრუსტალი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი თბ. 2007 pdf-<https://ru.scribd.com/doc/268983104/151/dauswrebeli-gadawyvetileba> (გადამონმებულია 11.02.2016)

და ბუნებრივია, მისი წარმოებაში მიღებისათვის საჭიროა დასაშ-ვებობის წინაპირობების არსებობა, რაც, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, საჭიროა სააპელაციო საჩივრისათვის საერთოდ, რომელთა შესახებ ზემოთ გვექონდა საუბარ.ეს გამონაკლისები შემდეგში მდგომარეობს⁵¹:

ა) შეგებებულ სააპელაციო საჩივარზე არ ვრცელდება კანონის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ სააპელაციო საჩივრის ღირებულება აღემატებოდეს 1000 ლარს. იგი შეიძლება 1000 ლარზე ნაკლებიც იყოს;

ბ) შეგებებულ სააპელაციო საჩივარზე არ ვრცელდება კანონის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ სააპელაციო საჩივრის წარდგენა უნდა მოხდეს 14 დღეში (სსკ 369-ე მუხლი). იგი შეიძლება წარდგენილ იქნეს სააპელაციო საჩივრის მოწინააღმდეგე მხარისათვის გადაცემიდან 10 დღის განმავლობაში სსკ 379-ე მუხ.

გ) შეგებებული სააპელაციო საჩივარი ორგანულადაა დაკავშირებული ძირითად სააპელაციო საჩივართან. ეს იმას ნიშნავს, რომ, თუ აპელანტი უარს იტყვის თავის სააპელაციო საჩივარზე (სსკ 378-ე მუხლი), მაშინ შეგებებული სააპელაციო საჩივარიც კარგავს თავის დანიშნულებას და ისიც უარყოფილ უნდა იქნეს. იგივე შედეგი უნდა დადგეს იმ შემთხვევაშიაც, როდესაც აპელანტს უკან გააქვს თავისი სააპელაციო საჩივარი (სააპელაციო საჩივრის გამოხმობა).

ზოგადი პრინციპი შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ: იმ შემთხვევაში, როდესაც სააპელაციო სასამართლო, ამა თუ იმ მიზეზის გამო სააპელაციო საჩივარს განუხილველად ტოვებს ან წყეტს სააპელაციო წარმოებას, მან განუხილველად უნდა დატოვოს შეგებებული სააპელაციო

⁵¹ თ. ლილუაშვილი, ვ. ხრუსტალი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი თბ. 2007 pdf-<https://ru.scribd.com/doc/268983104/151/dauswrebeli-gadawyvetileba> (გადამოწმებულია 11.02.2016)

საჩივარიც.

დასკვნა

ა) სამოქალაქო სამართალწარმოებაში სააპელაციო წესით შეიძლება გასაჩივრდეს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება მხარეების ან მესამე პირების მიერ დამოუკიდებელი

სასარჩელო მოთხოვნით. ქონებრივ-სამართლებრივი დავის შემთხვევაში, სააპელაციო საჩივარი დასაშვებია, თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 1000 ლარს (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 364-ე, 365-ე მუხლები). ახალ ფაქტებსა და მტკიცებულებებს არ მიიღებს სააპელაციო სასამართლო, თუ მხარეს შეეძლო იგი წარედგინა პირველი ინსტანციის სასამართლოში, მაგრამ არ წარადგინა არასაპატიო მიზეზით; დაუშვებელია სააპელაციო სასამართლოში დავის საგნის შეცვლა ან გადიდება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-382-ე მუხლები). სააპელაციო საჩივრით შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება იმ საფუძვლით, რომ არ არსებობდა განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების სამართლებრივი წანამძღვრები; სააპელაციო საჩივრის სავალდებულო შინაარსი მოცემულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლში. სააპელაციო სასამართლოს საჩივრის დასაშვებობის შესახებ გამოაქვს განჩინება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლი).

ბ) სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით და დაუშვებელია გადაწყვეტილების საუარესოდ შებრუნება (non reformatio in peius; სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე, 384-ე მუხლები). სააპელაციო სასამართლო აუქმებს პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებას და საქმეს აბრუნებს ხელახლა განსახილველად, თუ მოცემულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლით განსაზღვრული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები, აგრეთვე, გასაჩივრებული სასამართლო გადაწყვეტილებით არასწორად ეთქვა უარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების თაობაზე შეტანილი სარჩელის დაშვებაზე; გასაჩივრებული გადაწყვეტილება შეეხება მხოლოდ სარჩელის დასაშვებობას; გასაჩივრებული გადაწყვეტილება არის არასწორად გამოტანილი განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება. თუ

სააპელაციო საჩივარი დასაშვებია და საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოს არ უბრუნდება, სააპელაციო სასამართლო თვითონ იღებს გადაწყვეტილებას საქმეზე. თავისი განჩინებით იგი უარს ამბობს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე ან გასაჩივრებულ გადაწყვეტილების შეცვლით იღებს ახალ გადაწყვეტილებას (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე, 386-ე მუხლები).

სამოქალაქო საქმეზე, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი, 2012 წლის 1 აპრილიდან შეიცვალა! საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 2591 მუხლის თანახმად, განისაზღვრება სასამართლოს გადაწყვეტილებების გასაჩივრების წესი, რომელიც ფორმულირებულია შემდეგი რედაქციით:

1. თუ გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე პირი, ან თუ ასეთი პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იყო გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე (მისი წარმომადგენელი) ვალდებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა გამოცხადდეს სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი; წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.

2. ამ კოდექსის 46-ე მუხლით გათვალისწინებული პირებისათვის, ასევე პატიმრობაში მყოფი იმ პირებისათვის, რომლებსაც არ ჰყავთ წარმომადგენელი, გადაწყვეტილების ასლის გაგზავნასა და ჩაბარებას უბრუნველყოფს სასამართლო ამავე კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. ”.

ამ მუხლის ამოქმედება დაკავშირებულია შემდეგ ქრონიკასთან:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ, 2010 წლის 15 დეკემბრის საქართველოს კანონის (№4037-რს) მე-15 პუნქტით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსს დაემატა 2591 მუხლი, რომელმაც სასამართლო გადაწყვეტილებების ტრადიციულად გასაჩივრების წესი, ახლებურად დაარეგულირა და ეს წესი უცვლელად მოქმედებს დღეის მდგომარეობითაც.

განსხვავება ის არის, რომ იმავე (15.12.2010წ-ს) კანონის (ამოქმედდა 2011 წლის 01 იანვრიდან) მე-20 პუნქტით, საპროცესო კოდექსს ასევე დაემატა 4331 მუხლი, რომელმაც განსაზღვრა, რომ 2591 მუხლით რეგულირებული წესი გამოიყენება მხოლოდ “თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების მიმართ“-ო.

გამოყენებული ლიტერატურის სია

ნორმატიული მასალა:

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბილისი, 1997წ.
(ცვლილებებითა და დამატებებით) /www.matsne.gov.ge/ უკანასკნელად
გადამოწმებულ იქნა 10.07.2016წ.
2. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, თბილისი, 1997წ.
(ცვლილებებითა და დამატებებით) /www.matsne.gov.ge/ უკანასკნელად
გადამოწმებულ იქნა 10.07.2016წ.

სახელმძღვანელოები:

3. ბოელინგი ჰ., ჭანტურია ლ., სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო
გადაწყვეტი-ლებათა მიღების მეთოდოლოგია, მეორე გამოცემა, თბ., 2004
4. ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., საპროცესო სამართალი 2012 წ
5. კობახიძე ა., სამოქალაქო საპროცესო სამართალი თბ., 2004;
6. ლილუაშვილი თ., სამოქალაქო პროცესუალური სამართალი. II
გამოცემა თბ. 2005
7. ლილუაშვილი თ., საქართველოს ახალი სამოქალაქო საპროცესო
კოდექსი. შურნალი “ქართული სამართლის მიმოხილვა”, მე-4
კვარტალი, 1998 წელი,
8. ლილუაშვილი თ., აპელაცია სამოქალაქო პროცესში. პრაქტიკული
სახელმძღვანელო, თ. 2005წ
9. მერებაშვილი ი., სასამართლო სტრუქტურების ორგანიზაცია და
მართმსაჯუ-ლების ეფექტიანი განხორციელება სამოქალაქო ხასიათის
საქმეებზე / შერ. „მართლმსაჯულება და კანონი“ N 1 (24) თბ. 2010
10. ქურდაძე შ., სამოქალაქო საქმეთა განხილვა ზემდგომი ინსტანციის
სასა-მართლოებში, თბ., 2006,
11. ქირია გ., სასამართლო გადაწყვეტილებათა თეორიულ-პრაქტიკული
კომენტა-რები საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის
მიხედვით, თბილისი, 2002
12. ხუბუა გ., სტატია, “სამოსამართლო სამართალი:სამართლის წყარო თუ
სამართ-ლის შემეცნების წყარო?” შურნალი “მართლმსაჯულება და
კანონი” N5(7)05.

13. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი – თენგიზ ლილე-აშვილი, ვალერი ხრუსტალი თბ., 2007
14. Алексей П.В., Н.Д. Амаглобели. Гражданское процессуальное право России: Учебник для вузов . — М.: ЮНИТИДАНА. 2005
15. Боботов С.В.. Правосудие во Франции, изд. «ЕАВ» 1994г
16. Гражданский процесс: Учебник /Под ред. М.К. Треушникова. — М.: Городец-издат, 2003. — С. 481.; Подробнее об апелляции см.: Борисова Е.Л. Апелляция в гражданском (арбитражном) процессе. — М., 2000
17. Давтян, А. Г. (Ани Гамлетовна). Гражданское процессуальное право Германии : Основные институты : Автореферат диссертации на соискание ученой степени доктора юридических наук. - М., 2002
18. Курс гражданского процесса: теоретические начала и основные институты, Сахонова Т.В. 2008г
19. Опалев Р.О., Автореферат, Оценочные понятия в арбитражном и гражданском процессуальном праве, Екатеринбург, 2008
20. Обзор судебной практики Верховного Суда РФ за II квартал 2003 г. (по гражданским делам), утвержденный постановлением Президиума Верховного Суда РФ от 16 июля 2003 г. //ВВС РФ. 2004. №1.

სადისერტაციო ნაშრომი:

21. თოდრია თ., ფაქტობრივი გარემოებების მნიშვნელობა საკასაციო სასამარ-თლოში სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად თბ. 2010

სასამართლო გადაწყვეტილებები:

22. სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა. საქმე # ას-484-803-05 9 ივნისი, 2005წ.<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/samoq2005-3-uni.pdf>

ვებ-საიტები:

23. www.supremecourt.ge
24. www.tbappeal.court.ge
25. www.matsne.gov.ge